გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირებულობის და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების კვლევა

ავტორი:
გვანცა საკანელაშვილი
2024

ავტორი: გვანცა საკანელაშვილი

კვლევის ხელმძღვანელები და
გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები:
ირმაპავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ:
მარიამ ქიზიყურაშვილი, ნუცა ბიჭაშვილი,
შორენა კოჭლამაზაშვილი, მარიამ ქარჩავა, ანა არაბიძე

© აკრძალულია დოკუმენტში მოყვანილი მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული
მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ თანხმობის გარეშე.
თბილისი 2024

მიმოხილვა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის
შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ღია სივრცე კავკასია
(COS) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის
შეხედულებებს.

კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ღია სივრცე კავკასია (COS) და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გენდერულიდა ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირებულობის და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების კვლევა

ავტორი: გვანცა საკანელაშვილი

კვლევის კოორდინატორები და გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

დიზაინი/დაკაბადონება: ღია სივრცე კავკასია

© აკრძალულია დოკუმენტში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ თანხმობის გარეშე.

თბილისი 2023

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის მეთოდოლოგია 5

კვლევის გამოწვევები და დაბრუკელებები 6

კვლევის ძირითადი მიგნებები 7

რეკომენდაციები 11

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი 14

ეროვნული კანონმდებლობა 14

სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობა 24

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა 32

გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის თავისებურებანი 36

ძალადობის გავრცელების არეალი 36

ძალადობის ძირითადი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები 45

გენდერული უთანასწორობა 45

კულტურული ნორმები და პრაქტიკები 47

ეკონომიკური ფაქტორები 50

პოლიტიკური კონტექსტი როგორც ძალადობის ნორმალიზების საფუძველი . 53

გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის გავლენა მსხვერპლზე 56

ფსიქიკური და ემოციური ჯანმრთელობის ეფექტები 56

ფიზიკური ჯანმრთელობის შედეგები 59

სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 61

თაობათაშორისი ეფექტი 66

მოძალადეთა ქცევის კორექციის ეფექტი 69

ინტერვენციისა და მხარდაჭერის სერვისები 73

შეჯამება 78

ბიბლიოგრაფია 81

შესავალი

გენდერული ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა სცილდება გეოგრაფიულ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ საზღვრებს. ცნობილია რომ ქალთა მიმართ ძალადობა განპირობებულია ე.წ საზიანო გენდერული ნორმებით, რომლებიც საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული და ქმნის ნოყიერ ნიადაგს გენდერული უთანასწორობასი და ძალადობისთვის. სახელმწიფოში გენდერული ძალადობის მიმართ გატარებული სათანადო ღონისძიებების, სერვისების ნაკლებობა და უშუალოდ ძალადობის მსხვერპლთა არაინფორმირებულობა დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით კიდევ უფრო ამძიმებს გარემოს ყველა ასაკის ქალისთვის. მიუხედავად სახელმწიფოს და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი ძალისხმევისა და გადადგმული ნაბიჯებისა გენდერული და ოჯახური ძალადობა კვლავაც დიდ ზიანს აყენებს ინდივიდებსა და თემებს საქართველოში.

კვლევაში განხილულია ძალადობის მსხვერპლთა მრავალმხრივი გამოწვევები და სისტემური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მათ მართლმსაჯულებაზე, სათანადო სერვისებსა და რესურსებზე წვდომაში. ფესვგადგმული საზოგადოებრივი დამოკიდებულებიდან ინსტიტუციონალურ ხარვეზებამდე, გენდერული და ოჯახში ძალადობის ლანდშაფტი წარმოადგენს დაბრკოლებების ჯაჭვს, რომელიც მოითხოვს სასწრაფო ყურადღებას და მოქმედებას.

კვლევა შედგება ოთხი თავისა და ათი ქვეთავისგან, სადაც გაანალიზებულია გენდერული და ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, მასში შესეული ბოლო წლების მნიშვნელოვანი ცვლილებებით, საკანონმდებლო ხარვეზები, გენდერული და ოჯახში ძალადობის გავრცელების არეალი, გამომწვევი მიზეზები და ძალადობის შედეგები, გენდერული და ოჯახში ძალადობის ინტერვენციისა და მხარდაჭერი სერვისები. კვლევა მოიცავს იდენტიფიცირებული მიგნებების და რეკომენდაციების ჩამონათვალს რომლის შესრულებაც გენდერული და ოჯახში ძალადობის საკითხზე მუშაობისას მნიშვნელოვანია როგორც ძალადობის მსხვერპლების, ასევე მოძალადეებისა და ზოგადად საზოგადოებისათვის.

კვლევაში გამოკვეთილია, რომ გენდერული ძალადობის სიმძიმის შესახებ მზარდი ცნობიერების მიუხედავად, მსხვერპლთა დადანაშაულების რიტორიკა კვლავ გავრცელებულია, რომელიც გაძლიერებულია ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური ნორმებითა და საზოგადოების მცდარი წარმოდგენებით. მსხვერპლები ხშირად ექვემდებარებიან გაკიცხვასა და ურწმუნოებას, მათი გამოცდილების ტრივიალიზაციას ან თავად მსხვერპლის დადანაშულებას. ასეთი დამოკიდებულებები არა მხოლოდ აგრძელებს ძალადობის ციკლებს, არამედ აღმართავს დიდ ბარიერებს დახმარებისა და მხარდაჭერის საძიებლად. სოფლად,

სადაც რესურსებზე და დამხმარე სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, გენდერული უთანასწორობა მწვავდება, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მსხვერპლის მარგინალიზებას და აფერხებს მის უნარს, მოიძიოს დახმარება და მხარდაჭერა. უფრო მეტიც, იძულებითი ემიგრაციის ფენომენი, როგორც ძალადობისგან თავის დაღწევის საშუალება, დამატებით გამოწვევებს აჩენს, მათ შორის სოციალურ იზოლაციასა და ეკონომიკურ არასტაბილურობაზე.

კვლევა ხაზს უსვამს ძალადობის გამომწვევ სოციალურ ნორმებსა და ინდივიდუალურ ქცევას შორის ურთიერთკავშირს. ძალადობის ცნების გაგების მიუხედავად, ინდივიდები მაინც მიმართავენ შეურაცხმყოფელ ქცევას, როგორც დომინანტურობის დამყარების ან მასკულინობის გამყარებულ სოციალურ ნორმებთან შესაბამისობის საშუალებას. ეს ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი ინტერვენციების გადაუდებელ აუცილებლობას, რომლებიც მიემართებიან ძირეულ მიზეზებს და გაბატონებულ ნორმებს, რომლებიც აძლიერებენ ძალადობას და უთანასწორობას.

გენდერისა და ოჯახში ძალადობის განხილვისას მთავარია საზოგადოების დამოკიდებულებებისა და აღქმების შეცვლა, ამ საკითხების აღიარება, როგორც გადაუდებელი სოციალური საზრუნავი, რომელიც მოითხოვს გაერთიანებულ, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევას და მხარდაჭერას. თუმცა, ფესვგადგმული რწმენა ოჯახის კონფიდენციალურობის სიწმინდის შესახებ და ოჯახის საქმეში ჩარევის აკრძალვა წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ეფექტური პრევენციისა და ინტერვენციის მცდელობებისთვის. ამ ბარიერების გადალახვა მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას კულტურული ნორმების გამოწვევის, ცნობიერების ამაღლებისა და მხარდამჭერი გარემოს ხელშეწყობისთვის, რომელიც პრიორიტეტს მიანიჭებს ქალების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

გარდა ამისა, კვლევა ხაზს უსვამს მსხვერპლთა წინაშე არსებულ სისტემურ გამოწვევებს მართლმსაჯულებისა და დამხმარე სერვისების წვდომისას. დაწყებული კანონის აღსრულების წარუმატებლობით, გაჭიანურებულ სამართლებრივ პროცესებამდე და არასაკმარის რესურსებამდე, მსხვერპლები აწყდებიან უამრავ წინააღმდეგობას, რაც ამძაფრებს მათ დაუცველობას და აგრძელებს ძალადობის ციკლებს. სასამართლო პროცესებში ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომების ნაკლებობა, ძირითად სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობასთან ერთად, კიდევ უფრო ართულებს მსხვერპლთა წინაშე არსებულ სირთულეებს და ტოვებს მათ იზოლირებულად, უმწეოდ და მიტოვებულად იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მათი დაცვის უმთავრესი ბერკეტია.

კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირებულობის და საზოგადოების დამოკიდებულების პერიოდული კვლევა უმნიშვნელოვანესია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კომპლექსურად დაიგეგმა და კვლევის პროცესში რამდენჯერმე გადაიხედა/დაზუსტდა.

კვლევის მიზანია გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირებულობის და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების კვლევა გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით.

კვლევის ზოგადი ამოცანებია:

1. ცნობიერების დონის შეფასება: გამოკვლიოს საზოგადოების ცოდნა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გავრცელებისა და სხვადასხვა ფორმების შესახებ. ასევე, განსაზღვოს ინფორმაციის წყაროები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას;

2. ინდივიდების დამოკიდებულების კვლევა გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მსხვერპლის დადანაშაულებას ან ძალადობის ნორმალიზებას;

3. სამართლებრივი და პოლიტიკის პერსპექტივების შესწავლა: გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული არსებული კანონების, პოლიტიკის, სამართლებრივი ჩარჩოების ეფექტურობის და მსხვერპლთა საჭიროებებთან შესაბამისობის კვლევა;

4. იდენტიფიცირებული გამოწვევების გადასაჭრელად შესაბამისი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების შეთავაზება.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის დიზაინი. მუშაობის პროცესში გამოყენებულია კვლევის შერეული, როგორც სამაგიდე ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდი.

სამაგიდე კვლევისას გაანალიზდა პირველადი და მეორეული წყაროები, ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები და კონვენციები, გენდერული და ოჯახში ძალადობის საკითხზე შემუშავებული საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები და ანგარიშები. კვლევის მომზადების დროს გამოყენებულ იქნა

სახელმწიფო უწყებების ვებ გვერდებზე განთავსებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე რესპონდენტები და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები საკვლევი რეგიონების მიხედვით შეირჩნენ ორგანიზაციული შერჩევის ხერხების გამოყენებით. სულ ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, მაღალმთიანი ცაგერის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის, ლაგოდეხის, სიღნაღის და ყვარელის მუნიციპალიტეტებში და 21 ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა ორასამდე მოქალაქემ მიიღო. ფოკუს-ჯგუფებისთვის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სადისკუსიო გეგმა, ხოლო ინტერვიუებისთვის სპეციალურად კვლევისთვის მომზადებული კითხვარი.

კვლევის გამოწვევები და დაბრკოლებები

კვლევის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო გარკვეული მუნიციპალიტეტების კვლევაში ჩართულობა. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უარი ფოკუს ჯგუფში მონაწილეობაზე სხვადასხვა მიზეზთა გამო განაცხადეს. მუნიციპალიტეტების ნაწილი მათი განცხადებით, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში იყვნენ ჩართული და დრო არ ჰქონდათ ფოკუს ჯგუფში დასასწრებად, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში კი თანამშრომლები გავრცელებული სეზონური ვირუსების გამო ბიულეტენზე იმყოფებოდნენ. აღნიშნული მუნიციპალიტეტების კვლევაში ჩაურთველობამ, შესაძლოა ვერ მოგვცეს სრული ინფორმაცია მათ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ოჯახში და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად არსებული სერვისების შესახებ. ფოკუს ჯგუფის სესიებში მონაწილეობაზე უარი შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს, პარლამენტის გენდერული საბჭოს მხრიდან დაბრკოლება იყო გენდერული და ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიების საკითხებში ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოპოვებაში, უწყებების მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილი აქტოვობების კმარობისა და შესაბამისობის გაანალიზებისათვის. სამთავრობო, წამყვანი უწყებების ჩართულობის გარეშე, შესაძლოა არსებობდეს ხარვეზები პოლიტიკის ლანდშაფტის, აღსრულების გამოწვევებისა და გენდერული და ოჯახში ძალადობის მოსაგვარებლად არსებული რესურსების გაგებაში.

კვლევის პერიოდში უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის ინიცირებამ კონტექსტუალური გამოწვევა წარმოშვა. ამ განვითარებამ შესაძლოა გადაიტანოს ყურადღება და რესურსები გენდერულ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხებიდან, გავლენა მოახდინოს კვლევის თემების პრიორიტეტიზაციაზე და დაინტერესებული მხარეების სურვილზე ჩაერთონ ამ საკითხებზე დისკუსიაში. ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ნაბიჯების შეუსრულებლობის, გენდერული სავალდებულო კვოტების გაუქმების გამო სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის შეზღუდვამ კიდევ უფრო გაართულა კვლევის გარემო. სახელმწიფო უწყებების ჩაკეტილობა, თანამშრომლობის სურვილის არ ქონა ხელშემშლელია კრიტიკულ მონაცემებზე, სერვისებზე, სახელმწიფო უწყებების მიერ დაგეგმილ სამუშაოებზე ინფორმაციის წვდომისთვის.

მიუხედავად დაბრკოლებებისა, კვლევის ფარგლებში საკვლევ რეგიონში მცხოვრებთა, თემაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენელთა, სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის, ძალადობის მსხვერპლთა ფართო ჩართვამ შესაძლებლობა მოგვცა საკვლევის საკითხის ირგვლივ მაქსიმალური ინფორმაცია შეკრებილიყო და გაანალიზებულიყო.

კვლევის ძირითადი მიგნებები

1. საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მსხვერპლს ადანაშაულებს მის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. სოციალურ-კულტურული კონტექსტი, ხელს უწყობს მსხვერპლის დადანაშაულების დამოკიდებულების ნორმალიზებას, მათ შორის პატრიარქალური ნორმები. ხშირად გაიგებთ ისეთ ფრაზებს როგორიცაა: "ალბათ გაანერვიულა?!, იგონებს ძალადობას!, ალბათ გამოიწვია?!, მოკლე რატო გეცვა?!, მანქანაში რატომ ჩაუჯექი?!, ქალი ხარ და უნდა მოითმინო!

2. მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებენ რა არის ძალადობა, ინდივიდები მაინც ძალადობენ, ფესვგადგმული სოციალური ნორმებისა და მამაკაცურობის ან დომინირების გრძნობის დემონსტრირებისთვის.

3. გამოწვევაა ოჯახური ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და წარმოდგენების შეცვლა, მისი აღიარება, როგორც სერიოზული სოციალური საკითხი, რომელიც საჭიროებს კოლექტიურ ჩარევას და მხარდაჭერას. საზოგადოების ნაწილში კვლავ გამყარებულია რწმენა, რომ

ოჯახში ძალადობა უნდა დარჩეს პირად საქმედ, მხოლოდ ოჯახის საზღვრებში და არ გახდეს გარე ჩარევის ან განხილვის თემა. ეს პერსპექტივა უქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ოჯახური ძალადობის ეფექტურად განხილვისა და მსხვერპლთა დახმარების გაწევისთვის.

4. მსხვერპლები ისეთი სისტემური გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის მსხვერპლთა ადეკვატური დაცვის ვერ უზრუნველყოფა. სოფლის თემებში ნაცნობობისა და არაფორმალური ქსელების საკითხები ხელს უშლის ეფექტურ ინტერვენციას და ამძაფრებს მსხვერპლთა დაუცველობას. მოძალადეები იყენებენ ამ კავშირებს, რათა თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა და გააგრძელონ ძალადობა დაუსჯელად. მტკიცე ინტერვენციის ნაკლებობა კი ხელს უწყობს შიშისა და უნდობლობის ატმოსფეროს მსხვერპლთა შორის, რომლებიც თავს მიტოვებულად გრძნობენ იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მათ დაცვას უნდა ისახავნდნენ მიზნად.

5. ძალადობის შესახებ შეტყობინებამ შეიძლება გამოიწვიოს შურისძიება ან შემდგომი ვიქტიმიზაცია, განსაკუთრებით მჭიდროდ შეკრულ თემებში, სადაც ყველა იცნობს ერთმანეთს.

6. ეკონომიკურ ძალადობას აქვს ღრმა შედეგები მსხვერპლებზე, ძირს უთხრის მათ ფინანსურ უსაფრთხოებას, სტაბილურობას და საერთო კეთილდღეობას. მოძალადეების მიერ საკუთრების უფლებით მანიპულირება მსხვერპლს დაუცველს და უუფლებოს ტოვებს, რაც აგრძელებს ძალადობრივ ციკლებს.

7. სასამართლო პროცესების მიმდინარებისას, მსხვერპლებთან მუშაობის დროს მოსამართლეთა ნაწილი არ ან ვერ იყენებს პრაქტიკაში ტრავმის შესახებ ინფორმირებულ მიდგომებს. სასამართლოს სხდომათა დარბაზში ვერ უზრუნველყოფს არა რეტრავმატული გარემოს შექმნას.[1]

8. გენდერული თანასწორობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, საზოგადოებში მყარადაა გავრცელებული დამოკიდებულებები, რომ ქალის სექსუალური ცხოვრება კოლექტიური საკუთრებაა და არა მისი პირადი.

9. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შემაკავებლი ორდერის გამოცემის უფლება არ აქვს, შესაბამისად მის გამოსაცემად მსხვერპლმა მთელი რიგი პროცედურების გავლის შემდეგ სხვა ორგანოსთან უნდა იქონიოს კონტაქტი რომ გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. ხშირად ქალებს რამდენიმე

[1] trauma-informed approach

უწყებასთან საკუთარი ტრამვის გახსენებას ურჩევნია აღარ მიმართოს არავის და გარისკოს დარჩეს დაუცველად;

10. გაჭიანურებული სამართლებრივი პროცესები, აფერხებს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, აძლიერებს მათ დაუცველობას და ამძაფრებს მათ მიერ გადატანილი ძალადობის ზემოქმედებას. ოჯახურ დავებში ხანგრძლივი სასამართლო პროცესები, იწვევს მსხვერპლთა რეტრამვირებას, ფინანსური სირთულეები რიგ შემთხვევებში კი საბოლოდ მსხვერპლებს უარს ათქმევინებს მართლმსაჯულებაზე;

11. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მომუშავე იურისტებისთვის გამოწვევაა დისტანციურ სასამართლო პროცესებზე წვდომა, რაც განპირობებულია პროცესში დისტანციურად მონაწილეობის კანონით განუსაზღვრელობით და მისი მოსამართლის კეთილ ნებაზე დატოვებით. ამ გამოწვევას საზიანო გავლენა აქვს მხარეთა, განსაკუთრებით მსხვერპლთა უფლებებზე, სამართლებრივი წარმომადგენლობის ხარისხზე და ზოგადად სამართლიან სასამართლო პროცესზე.

12. გამოწვევაა, ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სახელმწიფო სერვისების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის ნაკლებობა, თუ რას სთავაზობს სახელმწიფო მსხვერპლებს, აძლიერებს უმწეობისა და იზოლაციის გრძნობას მსხვერპლთა შორის. სევრისებს ინფორმირებულობის ნაკლებობა, ინდივიდებს აბრკოლებს მსხვერპლთათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევაში. ხელმისაწვდომი სერვისების ნაკლებობა, განსაკუთრებით რეგიონებში, კიდევ უფრო მარგინალიზებულს ხდის მსხვერპლს და ტოვებს მათ სასიცოცხლო რესურსებისა და დახმარების გარეშე.

13. გამოწვევაა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებული რესურსების არაადეკვატურობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების სათანადოდ დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ზოგიერთმა ნაწილმა შეიძლება იცოდეს არსებული დახმარების შესახებ, თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი შეზღუდული რესურსები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის ყოვლისმომცველი მხარდაჭერისა და მომსახურების გაწევას. შეუსაბამობაა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეულ დახმარებას, ბინის ქირის გადახდასა და დაზარალებულებისთვის შესაფერისი საცხოვრებლის უზრუნველყოფის რეალურ ხარჯებს შორის.

14. დიდია პოლიტიკაში ძალადობის გავლენა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მუდმივად ხდება პარლამენტში და სხვა სამთავრობო უწყებებში. თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებული ძალადობა უარყოფითად აფორმირებს ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას.

15. გამოწვევებს, რომელთა წინაშე დგანან ქალები, ძალადობრივი გამოცდილების შემდეგ ემატება იძულებითი ემიგრაცია ქვეყნიდან. ძალადობა გამოვლილი ქალები ტოვებენ ქვეყანას უსაფრთხოებისა და დაცვის საძიებლად. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ კი, ისეთი ფაქტორები როგორიცაა სოციალური იზოლაცია, ეკონომიკური არასტაბილურობა, კულტურული ადაპტაცია და დამხმარე სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, აძლიერებს არსებულ დაძაბულობას ოჯახებში და ზრდის ძალადობის რისკებს.

16. გამოწვევაა, ბავშვების დასჯის ინსტრუმენტად გამოყენების ფენომენი გენდერული ძალადობის შემთხვევაში, განსაკუთრებით პარტნიორების დაშორების შემდეგ სამართლებრივი დავების კონტექსტში. გამოიკვეთა, რომ ძალადობის შემდგომ დაშორებული ქალის წინააღმდეგ მოძალადეები მიმართავენ სხვადასხვა ტაქტიკას, მათ შორის ფინანსურ მანიპულირებასა და იურიდიულ მანევრებს, რათა გააკონტროლონ და დასაჯონ ქალები, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ შეურაცხმყოფელ ურთიერთობებს.

17. მნიშვნელოვანი გამოწვევაა, სოფლის თემებში, სადაც შეზღუდულია ხელმისაწვდომობა საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, შეზღუდული მობილურობა და პატრიარქალური ნორმები. ეს ამძაფრებს გენდერულ უთანასწორობას, განსაკუთრებით ქალთა შესაძლებლობის მხრივ, მიიღონ არსებითი ინფორმაცია და სერვისები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობისა და გაძლიერებისთვის.

18. თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებზე წვდომის შესაფასებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ბარიერები, როგორიცაა შეზღუდული ინფორმაცია თავშესაფრების ოდენობის, გეოგრაფიული მდებარეობის და სერვისების სიმწირე ხელს უშლის ქალებს, მიიღონ აუცილებელი სერვისები. გარდა ამისა, კვლავ საუბარია თავშესაფრებში საჭირო ოდენობის იურისტების, ფსიქოლოგების, დამხმარე პერსონალის არარსებობაზე.

19. გამოიკვეთა, სამხარაულის ბიუროში ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მეთოდოლოგიის მოდერნიზაციის აუცილებლობა. ექსპერტები დღემდე მუშაობენ მოძველებული მეთოდოლოგიებით, რომელთა მსხვერპლზე ორიენტირებულობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

20. გამოიკვეთა, აღსრულების ეროვნული ბიუროს არაეფექტური ფუნქციონირება ალიმენტის გადახდევინების აღსრულების პროცედურებთან დაკავშირებით. გამოწვევად სახელდება ბიუროს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტურობის საკითხი ალიმენტისგან თავის არიდების შემთხვევებზე რეაგირების კუთხით. ინფორმაციის ნაკლებობაა ალიმენტისგან თავის არიდების შემთხვევების გამოვლენისა და შესაბამისი უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ ბიუროში არსებულ მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

1. ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადეობის დამოკიდებულების „ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა“ მოითხოვს ცნობიერების ამაღლებას, განათლებას ოჯახში ძალადობის დინამიკის შესახებ და ნდობის ჩამოყალიბებას გარე ინსტიტუტების შესაძლებლობების მიმართ, რათა მათ სათანადოდ და თანაგრძნობით უპასუხონ მსხვერპლთა საჭიროებებს.

2. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მსხვერპლთა გასაძლიერებლად შემუშავებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მასიურ გავრცელებაზე. აღნიშული, მოითხოვს ყველა აქტორის ერთობლივ ძალისხმევას ძალადობის მსხვერპლთათვის ცნობიერების ამაღლებისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. აუცილებელია სახელმწიფოს კურირებით, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე აქტორების ერთობლივი მუშაობა საჯარო განათლების კამპანიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების და დეცენტრალიზებული მხარდაჭერის ქსელების ჩამოყალიბებაში, რათა მიიღწიოს მსხვერპლთათვის საჭირო დახმარებაზე წვდომა, განურჩევლად მათი მდებარეობისა და გარემოებებისა.

3. პოლიტიკის შემქმნელებმა პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიონ რესურსების გამოყოფა დამხმარე სერვისების განვითარებისა და გაფართოებისთვის, იმის გაცნობიერებით, რომ მათ შეასრულონ სასიცოცხლო როლი საზოგადოებაში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საქმეში.

4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სათანადო დახმარების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გაზარდონ ფინანსები რესურსებსა და მხარდაჭერის სერვისებში. ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებით დაფინანსებას საბინაო დახმარების პროგრამებისთვის, მსხვერპლთა ეკონომიკური გაძიელერბის და სათემო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გაძლიერებული თანამშრომლობისთვის.

5. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ჰოლისტიკური მიდგომა, იმიგრანტებისა და დაბრუნებული ემიგრანტების, საზოგადოებებში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ.

6. აუცილებელია ყოვლისმომცველი სტრატეგიები ციფრული განხეთქილების დასაძლევად, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და სოფლის თემებში ქალებისთვის ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებებისა და უფლებების პრიორიტეტების მინიჭებით, სახელმწიფომ უნდა იმუშაოს უფრო სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების შესაქმნელად, სადაც ყველა ინდივიდს ექნება განვითარების შესაძლებლობა.

7. სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა იმ ბარიერების გადასაჭრელად, რომლებიც ხელს უშლის ძალადობის მსხვერპლებს თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებზე წვდომაში, არსებული მომსახურების ხარისხი გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების კამპანიების, გეოგრაფიული დაფარვის, არსებული სერვისების ხარისხის მონიტორინგი, შეფასება და განვიტარება. ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხის გაზრდისთვის პრიორიტეტის მინიჭებით, უნდა შეიქმნას უფრო ინკლუზიური და დამხმარე გარემო ძალადობის მსხვერპლთათვის.

8. სასწრაფოა რეფორმები, იმ სისტემური საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ხელს უწყობს სასამართლოში გახანგრძლივებულ ოჯახურ დავებს და ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერებას. მნიშვნელოვანია ისეთი ზომების მიღება, როგორიცაა გამარტივებული სამართლებრივი პროცესები, გაზრდილი რესურსები საოჯახო დავებზე და მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზებული სერვისები სამართლებრივი სისტემის ნავიგაციისთვის. (აქ იგულისხმება რეფერალის და რისკის შეფასების სისტემის დანერგვაც)

9. მნიშვნელოვანია სასწრაფო მოქმედება სამხარაულის ბიუროში ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პრაქტიკის მოდერნიზების მიზნით.

აუცილებელია შეფასების პროტოკოლების შესწავლა, განახლება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისად. მეთოდოლოგიის ცვლილებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ არა მხოლოდ სათანადო მტკიცებულება კონკრეტული საქმის ფარგლებში, არამედ იგი შეიძლება გახდეს ასევე წინაპირობა მსხვერპლებსა და მოძალადეებისათვის შეირჩეს შესაბამისი დახმარების სერვისები ძალადობრივი გამოცდილების შედეგებთან გასამკლავებლად.

10. მნიშვნელოვანია მტკიცე სისტემისა და პროტოკოლების არსებობა ალიმენტის ვალდებულებების დროული და ეფექტური აღსრულების უზრუნველსაყოფად. ასევე, უწყებას მართებს მეტი გამჭვირვალობა მის მიერ ალიმენტის გადახდის აღსრულების პროცედურებთან დაკავშირებით. ამ გამოწვევების გადაჭრით, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ უფრო სამართლიან და ეფექტურ სისტემას საალიმენტო ვალდებულებების აღსრულებისა და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისათვის.

11. მოძალადის ძალადობრივი კორექციის პროგრამაში მონაწილეთა რიცხვის გასაზრდელად მნიშვნელოვანია განხორციელდეს როგორც აღნიშულ პროგრამაზე ინფორმაციის გავრცელება, ასევე შემუშავდეს ჯილდოებისა და წახალისების სისტემა („კარგი ქცევის“ კრედიტები) სასჯელაღსრულების პროგრამების ფარგლებში, რათა მოტივირდეს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი, რომ აქტიურად ჩაერთონ კორექციის პროგრამებში. ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სახელმწიფო უწყება რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა დამცავი ორდერის ფარგლებში დაკისრებული ქცევის კორექციის კურსის შეთავაზების შესახებ მოძალადეებისათვის.

12. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ფართო კამპანიები, რომლებიც მიმართულია ფართო საზოგადოების, იურისტების და პოლიციელებისთვის ელექტრონული მონიტორინგის სამაჯურების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. ამ კამპანიებმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ტექნოლოგია, რა არის მისი მიზანი, პოტენციური სარგებელი და შეზღუდვები.ელექტრონული მონიტორინგის სამაჯურების ცნობადობისა და გაგების გაზრდა ერთ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია მსვერპლთა დასაცავად.

13. შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრიორიტეტულად უნდა გამოაცხადოს სამართალდამცავ უწყებებში ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზაციის დანერგვა. უნდა შემუშავდეს სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები სამართალდამცავების, დეტექტივების და სხვა პერსონალისთვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ოჯახში ძალადობის ინციდენტებზე რეაგირებაზე.

ტრენინგი უნდა მოიცავდეს ისეთ თემებს, როგორიცაა ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომები, რისკის შეფასება, მტკიცებულებების შეგროვება, მსხვერპლზე ორიენტირებული ინტერვიუს ტექნიკა და ა.შ.

14. აუცილებელია რისკების შეფასების სტანდარტიზებული კითხვარის შემოღება ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვაში ჩართულ ყველა უწყებაში.კითხვარი უნდა მოიცავდეს რისკის ფაქტორების მთელ რიგს, მათ შორის ძალადობის ისტორიას, ძალადობის სიმძიმეს, იარაღის არსებობას, ნარკოტიკების მოხმარებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებს და რესურსებზე ხელმისაწვდომობას და ა.შ.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

ეროვნული კანონმდებლობა

ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა ფართოდ გავრცელებული დარღვევა და გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა, რომელსაც ეპიდემიის მასშტაბები გააჩნია.[2] ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.[3] სტამბოლის კონვენცია განმარტავს ასევე ოჯახში ძალადობას და გენდერულ ძალადობას. კონვენციის მიხედვით ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან

[2] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, "ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში", 2022, გვ. 2, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

[3] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. გენდერული ძალადობა კი განიმარტება, ძალადობად რომელიც გულისხმობს ძალადობას სოციალურად დაკავშირებული როლების, ქცევის, საქმიანობის და მახასიათებლების, მოცემულ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნეული ქცევების შეუსრულებლობის გამო ჩადენილ ძალადობად.ბოლო წლების განმავლობაში ქართული კანონმდებლობა პერიოდულად იხვეწება და მოდის შესაბამისობაში საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

ადგილობრივ დონეზე ოჯახში და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისთვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები.[4] ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი

შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს

მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდების საკითხს, მიუხედავად იმისა, მოძალადე ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა

მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებისა და თავშესაფარში მოთავსების საკითხებს

ორდერის/დამცავი ორდერის გამოცემით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ

[4] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 9, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=24

იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების

გამოყენებით. შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით გამოიცემა.

შემაკავებელი ორდერი პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მაქსიმუმ 1 თვის მოქმედების ვადით გამოცემული აქტია, რომელიც გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.

2020 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რითაც დაინერგა ელექტრონული ზედამხედველობა მაღალი რისკის მოძალადეების მიმართ. აღნიშნული ცვლილება დადებითი, წინ გადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით. აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად მოძალადის მიმართ შესაძლებელია დაწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა. **მსხვერპლს შესაძლებლობა აქვს საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად მოითხოვოს ე.წ ელექტრონული სამაჯურის გამოყენება.**

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება დასაშვებია, თუ არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. ძალადობის განმეორების საფრთხის შეფასებას პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე. აღნიშნული საფრთხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და დარღვევის ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი,



მოძალადის მხრიდან მუქარა ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, აგრეთვე შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისთვის აუცილებელია მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა. თუ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე არასრულწლოვანი მსხვერპლი თანხმობას აცხადებს, ხოლო მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი – უარს, გადაწყვეტილება მიიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევის ანდა საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობის ან/და ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდების შემთხვევაში, შესახებ, აგრეთვე ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გადაცემული ელექტრონული საშუალების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში მოძალადეს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. პოლიცია უფლებამოსილია მოძალადისთვის ელექტრონული საშუალების სხეულზე დასამაგრებლად საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს იძულების პროპორციული ღონისძიებები.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების დროს მოძალადეს ეკრძალება მხვერპლთან მიახლოება, მოძალადისა და მსხვერპლის შემთხვევით მიახლოებისას 112 ვალდებულია მოძალადეს დაუკავშირდეს და მსხვერპლთან შემთხვევით შეხვედრის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ტერიტორიის დატოვება მოსთხოვოს. მოძალადე ვალდებულია შეასრულოს 112-ის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს მოძალადისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესაძლებლობის შესახებ ფართო საზოგადოებას საკვლევი არეალში ინფორმაცია არ აქვთ და ამის შესახებ მათ პირველად ფოკუს ჯგუფის ჩატარებისას შეიტყვეს.

რას უზამს მსხვერპლს ელექტრონული სამაჯური?

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

პირველად მესმის. როგორ დაიცავს მსხვერპლს? ვის უნდა მოსთხოვონ სამაჯური? იქნებ მოგვაწოდოთ მაგაზე ინფორმაცია.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

სამართალდაცავთა მხრიდან ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების პრობლემებზე საუბრობდნენ კვლევის ფარგლებში ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც წლებია ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მუშაობენ და მსხვერპლებს უწევენ სამართლებრი დახმარებას. გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლები მსხვერპლებს აღნიშნული დამცავი მექანიზმის შესახებ არ აწვდიან ინფორმაციას. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი უწყების თანამშრომლები ცდილობდნენ მსხვერლპთათვის გადაეფიქრებინათ ელექტორონული ზედამხედველობის დაწესების მოთხოვნა.

ელექტრონულ სამაჯურზე ინფორმაცია საერთოდ არ მქონდა, სანამ ადვოკატმა არ ამიხსნა. როდესაც გავიგე რა იყო, რა თქმა უნდა მინდოდა ამის საშუალებით დამეცვა თავი, რადგან ისე ვიყავი შეშინებული საერთოდ ვერ გავდიოდი ქუჩაში ძალადობის შემდეგ, მეგონა ყველგან დამხვდებოდა. როდესაც ადვოკატმა მოითხოვა სამაჯური გაეკეთებინათ, იმდენი მელაპარაკა პოლიციის თანამშრომელი თუ დააზიანეთ ძალიან დიდ ჯარიმას გადაიხდითო და ნამდვილად გინდათ რომ გამოვიყენოთო?! ჩემ სტრესს ახლა ამაზე საფიქრალი დაემატა, მაგრამ მერჩივნა უსაფრთხოდ ვყოფილვიყავი.

ძალადობის მსხვერპლი ქალი

ძალადობის მსხვერპლის დაცვისთვის ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს დამცავი ორდერის გამოცემასაც. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. მის მოსაპოვებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს როგორც მსხვერპლს, ისე მისი ოჯახის წევრს, ან მსხვერპლის თანხმობით ისეთ პირს, ვინც მას სამედიცინო, იურიდიულ, ან ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს.

არასრულწლოვნებს 14 წლიდან შეუძლიათ დამოუკიდებლად მიმართონ სასამართლოს დამცავი ორდერის გამოსაცემად

დამცავი ორდერი მოქმედებს შემაკავებელი ორდერის მსგავსად, თუმცა, თუ შემაკავებელი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე დაუყოვნებლივ, დამცავი ორდერის გამოცემას სასამართლო განიხილავს 10 დღის ვადაში და ის მოქმედებს 9 თვემდე ვადით. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ. მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემას და არ იწვევს დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების გაუქმებას თუ ჯერ კიდევ არსებობს საფრთხე ან ილახება მსხვერპლის ან/და მისი ოჯახის წევრის, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანის ინტერესები.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საკვლევ არეალში უფრო მეტი ცნობადომა მოსახლეობაში აქვს შემაკავებელ ორდერს. მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის, რომ ძალადობის შემთხვევაში უნდა დარეკოს 112 ცხელ ხაზეე, შეატყობინოს სამართალდამცავებს ძალადობის შესახებ, ისინი კი ძალადობის ფაქტზე გამოსცემენ შემაკავებელ ორდერებს. ასეთი ცნობადობა, სამწუხაროდ სასამართლოს მიერ გამოცემულ დამცავ ორდერს არ აქვს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ვისაც აქვს ინფორმაცია დამვაცი ორდერის შესახებ, აცხადებენ რომ

სასამართლოსთვის მიმართვა მოითხოვს კანონების ცოდნას, ის პროცესში გაჭიანებულია, ამიტომ მათ აზრით შემაკავებელი ორდერი უფრო სწრაფია კრიზისულ სიტუაციებში.

სანამ სასამართლო მაგ ორდერს გამოსცემს მსხვერპლი ვერ დაელოდება. შემაკავებელს დარეკავ პოლიციაში და სახლშიც მოვლენ და თან მაშინვე გადმოგცემენ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

შემაკავებელზე მგონია, რომ ბევრმა იცის, ჩემს გარშემოც არიან სმხვერპლები ვისზეც გამოცემულა. დამცავ ორდერზე მგონია ნაკლებია ხალხში ინფორმაცია. რომ იცოდნენ ალბათ გამოცემაც ხშირი იქნებოდა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2020 წელს განხორციელებული ცვლილების მიხედვით დამცავი ორდერი უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას. კანონის აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია ოჯახში ძალადობის განმეორების, მოძალადეთა სათანადო რეაბილიტაციის და ძალადობრივი ქცევის კორექციის მიმართულებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ჩანაწერის პრაქტიკაში განუხორციელებლობა დღემდე დიდი გამოწვევაა სახელმწიფოსთვის. კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელი ერთხმად აღნიშნავენ, რომ სამწუხაროდ დღემდე დამცავი ორდერით გათვალისწინებული ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამის დანერგვაზე და აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება ვერ განისაზღვრა. კანონის ამ ჩანაწერს მოსამართლეები არ იყენებენ, ვინაიდან მისი აღსრულების საშუალება არ არსებობს. კანონის ამ ჩანაწერის პრაქტიკაში გამოყენებით, მოძალადეთა მიმართ დღის წესრიგში დადგება სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საკითხი, რაც ობიექტურად მოძალადეთა ბრალეულობით გამოწვეული არ იქნება.

დადებითად აღსანიშნავია კანონმდებლობაში 2022 წელს ასახული ცვლილებაც მსხვერპლთა სტატუსთან დაკავშირებით. ცვლილებამ საშუალება მისცა ძალადობის

მსხვერპლს, რომ სტატუსის მოპოვებამდე ისარგებლოს მუნიციპალური თავშესაფრის სერვისებით, რაც საშუალებას აძლევს მათ თავიდან აიცილონ ხელახალი ძალადობა. თუმცა დღემდე ბევრი გამოწვევა არსებობს მსხვერპლთა შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფის ნაწილში, რომელზეც დეტალურად კვლევის შემდეგ თავებში იქნება საუბარი. ამავე წელს დადგენილ იქნა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს აღნიშნული უფლება, 2017 წელს, სტამბოლის კონვენციის[5] რატიფიცირების შემდგომ აქვთ. ამ უფლებით პრაქტიკულად სარგებლობის შესაძლებლობა ძალადობის მსხვერპლებს 2022 წლის ბოლოდან მიეცათ, როდესაც პარლამენტმა დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი.[6] აღნიშნული წესის მიხედვით პირებს რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ცნობილი არიან დაზარალებულად აქვთ უფლება მოითხოვონ კომპენსაცია. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს ანაზღაურება მოითხოვოს თავდაპირველად დანაშაულის ჩამდენი პირისგან, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირისგან ანაზღაურება შეუძლებელია, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 წლის ვადაში მოითხოვოს სახელმწიფოსგან კომპენსაცია. კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს სახელმიწფოსგან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს, მოძალადის მიმართ გამოტანილი გადაყვეტილების აღსრულების დაწყებიდან არა უადრეს 6 თვის შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ მოძალადისგან ზიანის ანაზღაურება ვერ მოხერხდა თანხის 40%-ით მაინც. თუ მოძალადისგან მოხდა თანხის 40%-ის ამოღება მსხვერპლი კარგავს უფლებას მიმართოს სახელმწიფოს.

2023 წლის ნოემბრის მონაცემებით, წესის ამოქმედებიდან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ანაზღაურების 11 განცხადება შევიდა, საიდანაც 9 დაკმაყოფილდა, 2 კი წარმოებაში იყო.[7] აღნიშნული განცხადებებიდან თითქმის ყველა, 8 შემთხვევაში კომპენსაცია მიენიჭა მძიმე, ფემიციდის მსხვერპლთა არასრულწლოვან შვილებს, 1 შემთხვევაში კი ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ქალმა კომპენსაცია

---

[5] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[6] დამიანის უფლებათა სამდივნო, "საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 9 ნოემბერს დადგენილებით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი დაამტკიცა", 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://myrights.gov.ge/ka/news/1928-saqartvelos-mtavrobam-2022-tslis-9-noembers

[7] გაეროს ქალთა ორგანიზაცია," კომპენსაცია ძალადობის მსხვერპლებისთვის: როგორ მუშაობს სიახლე პრაქტიკაში", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://georgia.unwomen.org/ka/stories/reportazhi/2023/12/kompensatsia-dzaladobis-mskhverplebistvis-rogor-mushaobs-siakhle-praktikashi

ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანისთვის მიიღო. კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ პრობლემურია კომპენსაციის საკითხი როდესაც საქმე გვაქვს შეურაცხად მოძალადესთან. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რაიმე წესს ასეთ შემთხვევაში. დამატებითი კვლევის საკითხია აღნიშნული 2023 წლიდან რამდენად გაიზარდა მსხვერპლთა მიმართვიანობა კომპენსაციისთვის, მიმართავენ თუ არა, და თუ არა რატომ, „მსუბუქი“ ძალადობის მსხვერპლები კომპენსაციისთვის, რამდენად ეფექტურია კანონმდებლობა კომპენსაციის საკითხის განსაზღვრის შესახებ და რაიმე ბარიერებს აწყდებიან თუ არა მსხვერპლები კომპენსაციის მოხოვნისას.

სახელმწიფოს მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯია, წლების განმავლობაში არასამთავრობო სექტორის მხრიდან მოთხოვნილი, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცება. რეფერირების პროცედურები მთავრობის მიერ 2024 წლის იანვარში დამტკიცდა.[8] ეროვნული რეფერირების პროცედურები განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროული გამოვლენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოების უფლება -მოვალეობებსა და კოორდინაციის წესს და მისი მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერასა და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას. ეროვნული რეფერირების პროცედურების მონაწილე ყველა სუბიექტმა 2024 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) განახლება/შემუშავება, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება უწყების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.[9] მნიშნელოვანია აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების პროცესის მონიტორინგი და დოკუმენტების არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავება.

უკვე მრავალი წელია, გოგონებისა და ქალების მიმართ სხვადასხვა გარემოში გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა გამარტივდა ან გახშირდა ტექნოლოგიებით, უფრო კონკრეტულად კი, მათი გამოყენებით ონლაინ და ციფრულ სივრცეში.[10]

---

[8] საქართველოს მთავრობის დადგენილება "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/6081714?publication=0

[9] იქვე, მუხლი 7

[10] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO), "ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ", 2021, პარაგრაფი 10, გვ 8, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1

ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობას სერიოზული გავლენა აქვს ქალებისა და გოგონების ცხოვრებაზე, მათ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, საარსებო საშუალებებზე, ფიზიკურ უსაფრთხოებასა და რეპუტაციაზე.[11] GREVIO, რომელიც მონიტორინგს უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ სტამბოლის კონვენციის განხორციელების პროცესს, უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ციფრულ განზომილებაში ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოცდილებებს. GREVIO-ს 2021 წელს დამტკიცებული ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით, მსჯელობა საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიებზე არ მოიცავს დისკუსიას გენდერის ნიშნით ჩადენილ ქალთა მიმართ ძალადობაზე, მიუხედავად ფართო გავრცელებისა და შესაბამისად გენდერის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ეროვნული რეაგირება იშვიათად ფარავს ამ ძალადობის ციფრულ განზომილებას, განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობის კონტექსტში.

ქართული კანონმდებლობა არც ადმინისტრაციულ, არც სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დონეზე ციფრული ძალადობის, კიბერ ძალადობის ან მსგავსი რაიმე ფორმით ონლაინ ჩადენილი ძალადობის განმარტებას არ იძლევა. შესაბამისად არ არსებობს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა ამგვარი ქმედების/დანაშაულებისთვის. კვლის ფარგლებში ჩატარებული როგორც ფოკუს ჯგუფების ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტები ერთხმად აცხადებენ, რომ ონლაინ სივრცეში ძალადობის რაიმე სპეციალური მარეგილურებელი არ არსებობს, ფაქტები კი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალია.

> *დღეს დიდს თუ პატარას ყველას აქვს სოციალური ქსელი და ონლაინ ჩადენილი ძალადობის მეტი რა ვიცით. ჩვენც ვხედავთ კომენტარებს, პოსტებს და ტელევიზიაც აშუქებს. ამას წინათაც ხომ იყო გაშუქებული ქალი ემუქრებოდა ოჯახის წევრს გაგივრცელებ რაღაცეებსო. მაგრამ დაისაჯა რა ვიცი?! ვის რასაც უნდა იმას მოგწერს.*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

GREVIO წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს გადახედონ რელევანტურ კანონმდებლობას, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ ახალი კანონმდებლობა, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების პრევენციის, მისგან დაცვისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის

[11] იქვე, პარაგრაფი 12, გვ 9

კონვენციისა და სხვა რელევანტური დოკუმენტების სტანდარტები. ხელი შეუწყონ ციფრული წიგნიერებისა და ონლაინ უსაფრთხოების ფორმალურ კურიკულუმში ჩართვას განათლების ყველა დონეზე. GREVIO ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოძალადეთა ინტერვენციის არსებულ პროგრამებში სახელმწიფოებმა ჩართონ ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული გამოხატულების ფორმები, განსაკუთრებით, ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობის კონტექსტში.

სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობა

სამართალდამცავი ორგანოები ასრულებენ გადამწყვეტ როლს გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამართალდამცავ ორგანოებს, ევალებათ აღკვეთონ გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობა, კანონის აღსრულების, ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების და სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვის მანდატით.[12] ამ როლის ეფექტურად შესრულება მოითხოვს გენდერული და ოჯახში ძალადობის გარშემო არსებული სირთულეების ყოვლისმომცველ გაგებას, ანალიზს და საპასუხო ნაბიჯების გადადგმას. საქართველომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არა ერთი ღონისძიება გაატარა თუმცა ჯერ კიდვ გამოწვევაა სამართალდამცავ სისტემაში მომუშავე პირთა მგრძნობელობის დონე გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხთან და მსხვერპლებთან დაკავშირებით.

სამართალდამცავთა როლზე ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ყურადრება გამახვილებულია CEDOW კომიტეტის 2022 წლის ანგარიშშიც რომელშიც შეფასებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა. კომიტეტის ანგარიშის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ტრენინგი სამუშაო ადგილზე, რათა სამართალდამცავთა მხრიდან გადაილახოს დამოკიდებულებები, რწმენა და პრაქტიკა, რომლებიც ხელს უშლიან პოლიციის რეაგირებას ოჯახში ძალადობაზე.[13]

---

[12] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 9, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=24

[13] ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, "საქართველოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელების შესახებ", 2022, პარაგფარი A, გვ 15, ხელმისაწვდომია ბმულზე:
https://rm.coe.int/ic-cp-inf-2022-14-cop-recommendation-georgia-eng/1680a952e8

ამავე ანგარიშში ხაზგასმულია სამართალდამცავთა მიდგომები, რომლებიც შეიძლება ხელს უშლიდეს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სათანადო რეაგირებას.

> ***პოლიციაში რომ მივედი და განვაცხადე ძალადობის მსხვერპლი ვარო კარგა ხანს ველოდე იქ განყოფილებაში რომ ვინმეს მოესმინა ჩემთვის. მერე ვინც მოვიდა სერიოზულად კი არ ეკიდებოდა რას ვყვებოდი, ირონიულად ჩამეკითხებოდა. სანამ არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი არ ჩაერთო საქმეში ვერაფერს მივაღწიე.***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი***

საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან ინტერვიუს ფარგლებში დადებითად აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო წლების განმავლობაში ახორციელებს თანამშრომლების გადამზადებას, თუმცა გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე, გენდერულად მგრძნობიარე კადრების დეფიციტი კვლავ სერიოზული გამოწვევაა სისტემისთვის. საბიუჯეტო შეზღუდვები, პროფესიონალი კადრის ან/და ზოგადად კადრის დეფიციტი [14] აფერხებს გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ჩადენილ ფაქტებზე ეფექტიან რეაგირებას.

> ***სამინისტროში მუდმივად კადრის გადინებაა. ალბათ გემახსოვრებთ ბოლო პერიოდში საკმაოდ გახმაურებულია პოლიციელების მხრიდან ქვეყნის დატოვების მრავალი ფაქტი. ახალი კადრი სანამ გადამზადდება და პრაქტიკას დააგროვებს მსხვერპლები მხოლოდ ადვოკატების იმედად არიან.***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი იურისტი***

მაღალკვალიფიცირებული კადრის სიმცირე კი თავის მხრივ გავლენას ახდენს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების პრაქტიკაში სრულყოფილ განხორციელებაზე, გენდერული მოტივის გამოკვეთას და მტკიცებულებების

---

[14] რადიო თავისიფლება, "2020 წლიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე შსს დატოვა 7 322-მა თანამშრომელმა", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32675914.html

შეგროვებაზე. კვლევის ფარგლებში აღინიშნა, რომ გენდერული მოტივის გამოკვეთის კუთხით წინ გადადგმული დიდი ნაბიჯები გვაქვს, თუმცა გენდერული მოტივის გამოკვეთა ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემაა.

მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების არ გამოყენებაზე საუბრობენ კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. ოჯახში და გენდერული ძალადობის ფაქტებზე მომუშავე პროფესიონალების აზრით, სამართალდამცავ სისტემაში მსხვერპლის ხმა სათანადოდ არ ისმის. მსხვერპლს პოლიციის განყოფილებებში სადაც ცალკე გამოკითხვის შესძლებლობაც კი არ არის, სჭირდება იმის მტკიცება, რომ იგი ნამდვილად მსხვერპლია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ახერხებს მიმართოს უწყებას რეაგირებისთვის იგი დგება ხელახალი ვიქტიმიზაციის საფრთხის ქვეშ. სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული მსხვერპლის საჭიროებებზე ერთი ფანჯარის პრინციპით მუშაობის სისტემა, შესაბამისად მსხვერპლს უწევს მრავალ ადამიანთან შეხება და ერთი და იგივე მისთვის ტრამვული გამოცდილების შესახებ მოყოლა რამდენიმეჯერ. ამ პროცესში კი ძალადობის მსხვერპლები ხშირად აწყდებიან მსხვერპლთა დადანაშაულების დამოკიდებულებებს და სოციალურ სტიგმას. სამართალდამცავთა მხრიდან არასენსიტიურმა დამოკიდებულებამ შეიძლება შექმნას ბარიერები ძალადობის ფაქტების გაცხადების და მსხვერპლთა სათანადო დახმარების მისაღებად, რადგან მსხვერპლს შეიძლება ეშინოდეს განკითხვის ან ურწმუნოების.

> ***დახმარების ძიებიისას მსხვერპლთა იმედგაცრუება სისტემის მიმართ რეალურად ხელს უწყობს შემდგომი ძალადობრივი ფაქტების დამალვას და ამძიმეს ძალადობის შედეგებს, რიგ შემთხვევებში კი შესაძლებელია გამოწუსორებელ შედეგებამდეც მივიდეთ, ამის ფაქტები არც თუ იშვიათია სამწუხაროდ.***
>
> ***ჩაღრმავებულ ინტერვიუს რესპონდენტი იურისტი***

გამოკითხულთა მოსაზრებით, პრობლემურია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაუყოვნებელი დაცვა მოძალადისაგან. გენდერული და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის მხრიდან სათანადო რეაგირება მოიცავს მსხვერპლებთან და მოწმეებთან გასაუბრებას, მტკიცებულებების შეგროვებას და საჭიროების შემთხვევაში მოძალადის დაკავებას. ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობას აქვს განცდა, რომ მოძალადეების მიმართ სახელმწიფოს აქვს

შესუსტებული პოლიტიკა, და მხოლოდ მძიმე შემთხვევების შემდეგ ხდება მოძალადეთა დაკავება. გამოიკვეთა ასევე პატარა თემებში მოძალადისა და პოლიციის თანამშრომელთა ახლო ურთიერთობის გამო ძალადობის შემთხვევებზე არასათანადო რეაგირება.

> *სამართალი არაა ქვეყანაში და ვინ მიმართავს პოლიციას? ისეთი უნდობლობაა ტყუილად უნდა განაცხადოს და უარესი მოუვიდეს*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა განცხადებით განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში ყველა ერთმანეთს იცნობს, შესაბამისად ცდილობს შესთავაზოს მსხვერპლს და მოძალადეს შერიგება, ე.წ შესარიგებელი პერიოდის დროს პოლიცია ცდილობს ლმობიერი იყოს მოძალადის მიმართ რაც მსხვერპლს სახელმწიფოს მხრიდან მისი ფუნქციის შესრულებაზე კითხვის ნიშნებს და უკმაყოფილებას უჩენს, შედეგად კი სამართალდამცავი სისტემის მიმართ უნდობლობას, ძალადობის ფაქტზე რეაგირების მოთხოვნისგან თავშეკავებას და ძალადობრივ გარემოში ცხოვრების გაგრძელებას იწვევს.

> *პოლიციას ჰგონია, როდესაც მოვა და სიმშვიდეა, ე.ი არ ხდება ძალადობა. სოფელია, ყველა ყველას იცნობს, ზოგი პოლიციელი მეგობარიცაა მოძალადის და გეტყვის კარგი რა შერიგდებით, ცოტა ხანს გეფიქრა.*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ასევე, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში სამართალდამცავები მსხვერპლებს აწვდიან ინფორმაციას, რომ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს მსხვერპლს დახმარება. თუმცა, სამართალდამცავთა მხრიდან, სახელმწიფოში არსებული სერვისების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება არ ხდება. გამოკითხვის და ადმინსტრაციული ზომების გამოყენების შემდეგ

სამართალდამცავები აწვდიან მსხვერპლებს ინფორმაციას მხოლოდ სახელმწიფოში არსებული თავშესაფრების შესახებ და სთავაზობენ მათ დახმარებას თავშესაფარში გადაყვანის შესახებ, თუმცა თავშესაფრის გარდა რა სერვისს სთავაზობს სახელმწიფო მსხვერპლებს ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მათთვის არ ხდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობლემურია სახელმწიფოს მხრიდან მონაცემთა შეგროვება და ანგარიშგება. მონაცემთა შეგროვების პრობლემა და არასრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები, ართულებს ამ დანაშაულების გავრცელებისა და გავლენის ზუსტად შეფასებას, გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამთავრობო სტრატეგიებისა და აქტივობების დაგეგმვასა და ეფექტურ განხორციელებას.

გენდერული და ოჯახში ძალადობა, რჩება გლობალურ პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს მილიონობით ინდივიდზე ასაკის, სქესის, რასისა თუ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად.[15] სამართალდამცავი ორგანოები გადამწყვეტ როლს ასრულებენ გენდერული ძალადობის რეაგირებასა და პრევენციაში, მაგრამ მათი ეფექტურობა დამოკიდებულია სისტემაში მომუშავეთა კვალიფიკაციასა და სენსიტიურობაზე. ამის გადასაჭრელად საჭიროა ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც მოიცავს სპეციალიზებულ ტრენინგს, პოლიტიკის რეფორმებს და ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტოში გაგრძელდეს და გაძლიერდეს სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები და ამასთან დაწესდეს გენდერულ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზაცია. სპეციალიზებულმა სამართალდამცავებმა უნდა გაიარონ სავალდებულო ტრენინგი, რომელიც ორიენტირებულია გენდერული ძალადობის რთული დინამიკის გაგებაზე. ეს ტრენინგები უნდა მოიცავდეს ისეთ თემებს, როგორიცაა ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომები, ინტერსექციურობა, კულტურული კომპეტენცია და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები. [16] ინტერსექციურობის ტრენინგი რომელიც განსაკუთრებით ეხება ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების ურთიერთდაკავშირებულ ბუნებას, როგორიცაა რასა, ეთნიკური კუთვნილება, სექსუალობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხელს შეუწყობს სამართალდამცავთა არა მხოლოდ ცოდნით აღჭრვას, არამედ გაზრდის მათ ემპათიურობას და მგრძნობელობას მსხვერპლებისადმი.

---

[15] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, "Violence against Women", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women

[16] იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი, "Training for Law Enforcement," 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://nij.ojp.gov/topics/articles/training-law-enforcement

სამართალდამცავებისთვის, რომელთაც პირველი შეხება აქვთ მსხვერპლთან მნიშვნელოანია მსხვერპლზე ორიენტირებული და ტრამვაზე ინფორმირებული მიდგომების სიღრმისეულად გაცნობა. [17] ტრავმის ნიშნების ამოცნობა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება ხელახალი ტრავმატიზაციის შესამცირებლად მსხვერპლებთან ურთიერთობისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის უსაფრთხო და დამხმარე გარემოს შესაქმნელად.[18]

გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მრავალმხრივ ბრძოლაში მსხვერპლების დაცვა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი საკითხია უსაფრთხო გარემოს შექმნა მსხვერპლთა გამოკითხვისთვის, მათი უსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და მათი გამოცდილების გამჟღავნების შიშისა და დაშინების გარეშე, ცალკე ოთახებში, უცხო პირთა თანდასწრების გარეშე.

გამოკითხვისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ამცირებს შემდგომი ზიანის ან დაშინების რისკს, რაც მსხვერპლებს აძლევს შესაძლებლობას ისაუბრონ თავიანთი ისტორიები შესახებ, მათი გასაჯაროვებისა და ვინმეს შიშის გარეშე. გამოკითხვისას უსაფრთხო გარემო ხელს შეუწყობს მსხერპლებს, გულწრფელად გაამჟღავნონ ძალადობრივი ფაქტების დეტალები, რითაც სამართალდამცავებს შეეძლებათ უკეთ მოახდინონ სავარაუდო მტკიცებულებათა განსაზღვრა, ფაქტების სწორი აღწერა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების სათანადოდ შერჩევა.

სამართალდამცავთა პროფესიონალიზმისა და უწყების ინფრასტრუქტურის გამართულობის გარდა, აუცილებელია პოლიტიკის რეფორმები, რათა სამართალდამცავმა უწყებებმა პრიორიტეტად მიიჩნიონ გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ეს მოიცავს უწყებების პირველი პირების მხრიდან გენდერული და ოჯახში ძალადობის საქმეების პრიოტეტად განსაზღვრას, გენდერულ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მიმდინარე საუკეთესო პრაქტიკისა და სამართლებრივი სტანდარტების სისტემატიურ გაზიარებას. ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობის მხრიდან საკითხის პრიორიტეტულად ჩვენება მნიშვნელოვანია გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სისტემაში თემისადმი სერიოზული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. უფრო მეტიც, უნდა შეიქმნას ანგარიშვალდებულების მექანიზმები, სახლმწიფოში უნდა ხდებოდეს სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ოჯახში

---

[17] ევროპის პარლამენტი, რეზოლუცია P8_TA(2018)0229, “victim-oriented approaches in Europe is the publication "Victims of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11" by the European Union Agency for Fundamental Rights (FRA), released in 2019”, 2020, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018IP0229

[18] აშშ-ს ჯანდაცვისა და ადამიანური მომსახურების დეპარტამენტი და სხვები, "SAMHSA's Concept of Trauma and Guidance for a Trauma-Informed Approach,"2014, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://store.samhsa.gov/sites/default/files/sma14-4884.pdf

ძალადობის საქმეებზე მომუშავე სამართალდამცავთა მხრიდან მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების, უშუალოდ სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღრიცხვისა და სტატისსტიკური მონაცემების გასაჯაროვების კუთხით. აღნიშნული ხელს შეუყობს სამართალდამცავთა მხრიდან გენდერული ნიშნით ან/და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობისას ნებისმიერი გადაცდომის ან არასწორად მოპყრობის შემთხვევების შემცირებას.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი გადამწყვეტია გენდერული და ოჯახში ძალადობის ფარგლებისა და ბუნების გაგებაში, ტენდენციებისა და ინტერვენციების ეფექტურობის შეფასებასა და პოლიტიკისა და რესურსების განაწილების გადაწყვეტილებების განსაზღვრაში.[19]

ზუსტი და ამომწურავი მონაცემების გარეშე, სამართალდამცავი ორგანოებისთვის, პოლიტიკის შემქმნელებისთვის და სერვისის პროვაიდერებისთვის რთულია შეიმუშაონ მიზანმიმართული სტრატეგიები გენდერული ძალადობის ეფექტურად მოსაგვარებლად. ინციდენტების რაოდენობის, ძალადობის სახეებისა და გადარჩენილთა დემოგრაფიის შესახებ მონაცემების შეგროვებით, სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ პრობლემის მასშტაბის გარკვევა და განსაკუთრებული რისკის სფეროების იდენტიფიცირება. აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო უწყებების მიერ გამოყენებულ უნდა იქნას რესურსების სტრატეგიულად განაწილებისა და ინტერვენციების პრიორიტეტიზაციისთვის, სადაც ისინი ყველაზე მეტად საჭიროა. მონაცემთა შეგროვების მძლავრ სისტემებში და ანალიზის შესაძლებლობებში ინვესტიცია ერთ-ერთი გადამწყვეტია გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენციის და ეფექტური რეაგირების ხელშეწყობისთვის.საზოგადოების

[19] UNODC , "Data and Research on Gender-Based Violence, 2017, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/statistics/crime/ICCS/Gender_and_the_ICCS.pdf

ჩართულობა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გენდერულ და ოჯახში ძალადობაზე სამართალდამცავი ორგანოების პასუხის გასაძლიერებლად. სამართალდამცავი სისტემა უნდა იყოს ღია თემებთან და არასამთავრობო სექტორთან სამუშაოდ. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის სტრატეგიად. თანამშრომლობის ფარგლებში, შესაძლებელია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამართალდამცავთა ძლიერი მხარეებისა და რესურსების გაერთიანება, კანონის აღსრულების, ცნობიერების ამაღლების, მსხვერპლთა მხარდაჭერისა და სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობის ამაღლების კუთხით.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ფლობენ სპეციალიზებულ ცოდნას მსხვერპლთა მხარდაჭერის საკითხებში, სთავაზობენ სერვისებს, დაწყებული კრიზისული ინტერვენციიდან იურიდიულ დახმარებამდე. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები ფლობენ გამოცდილებას დანაშაულის გამოძიებაში, მტკიცებულებების მოპოვებასა და სხვა პრაქტიკულ ასპექტებში. ერთობლივი მუშაობით შესაძლებელია მსხვერპლთათვის ჰოლისტიკური უწყვეტი ზრუნვის შეთავაზება, უსაფრთხოების საკითხების დაუყოვნებელი მოგვარება და მსხვერპლთათვის გრძელვადიანი სამართლებრივი დახმარევის აღმოჩენა.

მრავალსექტორული თანამშრომლობა აუცილებელია ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის კომპლექსური საკითხების მოსაგვარებლად. არასამთავრობო ორგანიზაციები და სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ ორი საყრდენია უფრო ფართო ქსელისა, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის პროვაიდერებს, პედაგოგებს, სამთავრობო უწყებებს და საზოგადოების ლიდერებს. სხვადასხვა სექტორში თანამშრომლობით, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ შეიმუშაონ ყოვლისმომცველი სტრატეგიები, რომლებიც თავიდან აიცილებენ ძალადობას, დაიცავენ მსხვერპლებს და დააკისრებენ პასუხისმგებლობას მოძალადეებს.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

სასამართლო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა სამართლებრივი სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ის უზრუნველყოფს, რომ ყველა ჩართულ მხარეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები საკუთარი საქმის წარმოდგენისა და იურიდიული წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობისთვის. გენდერული და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ეს პრინციპი კიდევ უფრო კრიტიკულია ძალაუფლების თანდაყოლილი დისბალანსისა და სოციალური ცრურწმენების გამო, რომლებსაც ხშირად ხვდებიან მსხვერპლები. სამართლიანი სასამართლო საშუალებას აძლევს მსხვერპლს გაიგონ მათი ხმა, დაუპირისპირდნენ მოძალადეებს შურისძიების შიშის გარეშე და მოიძიონ მათზე მიყენებული უსამართლობის გამოსწორება. სასამართლოები, ფლობენ არსებით უფლებამოსილებას, დაისაჯონ მოძალადეები, დაიცვან ნაცემი ქალები და გაუგზავნონ შეტყობინებები საზოგადოებას, მსხვერპლს და მოძალადეებს, რომ ოჯახში ძალადობა არ იქნება ტოლერანტული. უფრო მეტიც, მოსამართლეები, ისევე როგორც პროკურორები და პოლიცია, უწყებათაშორისი რეაგირების კრიტიკული ნაწილია.[20]

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სამართლებრივმა ბარიერებმა, როგორიცაა მართლმსაჯულებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, იურიდიული დახმარების სერვისების ნაკლებობა, რთული სამართლებრივი პროცედურები შეიძლება გახდეს შემაფერხებელი მსხვერპლთათვის მიაღწიონ სამართლიანობას და მოძალადისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას. როგორც

[20] ადვოკატები ადამიანის უფლებებსთვის, "Role of the Judiciary", 2019, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.stopvaw.org/role_of_the_judiciary

ინტერვიუების, ასევე ფოკუს ჯგუფების დროს გამოიკვეთა უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო პროცესები დროში საკმაოდ გაჭიანურებულია.[21]

> ***როგორც ყველა სხვა საქმე, ოჯახში ძალადობის საქმეებიც სასამართლოში იწელება, ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება არ არის ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ხელმისაწვდომი.***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი იურისტი***

გამოწვევად დასახელდა, სასამართლო სისტემაში მიკერძოება[22] და დისკრიმინაცია, მათ შორის სტერეოტიპული მიდგომები მოსამართლეთა მხრიდან. კულტურული და საზოგადოებრივი ნორმები, რომლებიც ნორმალიზებენ ან ამართლებენ ქალთა მიმართ ძალადობას და აგრძელებენ გენდერულ უთანასწორობას, აღწევენ ცალკეულ მოსამართლეებამდეც, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

> ***როგორ შეიძება მსხვერპლს თანამშრომლობა უნდოდეს როდესაც მოსამართლე, ალიმენტის დაკისრების პროცესზე ძალადობის მსხვერპლ ქალს ეუბნება რომ ბავშვებზე ზრუნვის უპირველესო მოვალეობა დედას აქვს***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი***

არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მსხვერპლებთან ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, მსხვერპლებისა და მათი ადვოკატების დისტანციურად ჩართულობის საკითხთან დაკავშირებული გამოწვევები. მსხვერპლების, მსხვერპლთა ადვოკატების სასამართლო პროცესებზე ონლაინ ჩართულობა მოსამართლეთა დისკრეციაა, პრაქტიკაშ კი დისტანციურად ჩართულობაზე უარის შემთხვევების დასაბუთება მოსამართლეთა მხრიდან არ ხდება.

ფოკუს ჯგუფებში ერთხმად სახელდება მოძალადისათვის ქმედების შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემა. მონაწილეთა აბსოლუტური

---

[21] გამონაკლისია დამცავი ორდერის გამოცემის პროცესები, რომლის შემჭიდროვებული ვადის დარღვევა ფოკუს ჯგუფების ან/და ინტერვიუების დროს არ გამოკვეთილა.

[22] განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მოსამართლეებიც ადგილობრივი თემის წარმომადგენლები არიან.

უმრავლესობა პრობლემად და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისთვის ბარიერად აღიქვამს მოძალადის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას, მსჯავრდებულის ციხიდან მოკლე პერიოდში გამოშვებას. მონაწილეთა მოსაზრებით სასამართლო სისტემა ეფექტურად ვერ ახდენს სასჯელები დაკისრებას, ასევე მონაწილეთა უმრავლესობას არ სმენია სასამართლოს მხრიდან მოძალადისათვის ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსის დაკისრების შესახებ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სასამართლო სისტემაში მსხვერპლებთან მოპყრობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ტრადიციულად, სასამართლო საქმის განხილვის აქცენტი ძირითადად ბრალდებულებსა და სახელმწიფოს მართლმსაჯულების ძიებაზე იყო. თუმცა, მზარდი აღიარება ხდება მსხვერპლთა საჭიროებებისა და უფლებების გათვალისწინების მნიშვნელობის შესახებ სამართლებრივი პროცესის ფარგლებში. გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლევის ფარგლებში, სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, კვლავ პრობლემურად გამოისახა მოსამართლეთა გენდერული მგრძნობელობა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების უგულებელყოფა. მოსამართლეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების განგრძობადი სწავლება გენდერულ ძალადობასთან და ტრავმაზე ინფორმირებულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე გააუმჯობებს მსხვერპლებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით.

> *ჩემი და პარტნიორის ურთიერთობა არავინ იცოდა, ძალიან მრცხვენოდა. ამ ფონზე პროცესზე მოსამართლემ ირონიულად მითხრა რისი მოყოლა გერიდება შენ ხომ უკვე დიდი გოგო ხარ?! საერთოდ ვეღარ ამოვიღე იმ პროცესზე ხმა.*
>
> *ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი*
>
> *მოსამართლემ პროცესზე მითხრა, შენ მსხვერპლის რა გეტყობაო?! ვერ მივხვდი ალბათ მოუწესრიგებელი და ატირებული უნდა ვყოფილიყავი?!*
>
> *ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი*

> *სასამართლო დაზარალებულის პირადი ცხოვრების ყველა საკითხზე კითხვის დასმის საშუალებას აძლევს მხარეს. მაგალითად სექსობრივი აქტივობის, პარტნიორების ოდენობის შესახე, რომელიც საქმესთან შემხებლობაში არაა.*
>
> *ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი იურისტი*

მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები მიზნად ისახავს მსხვერპლთა მოთავსებას სამართლებრივი პროცესის ცენტრში, რაც უზრუნველყოფს მათ მოსმენას დადანაშულების გარეშე, მათი უფლებების პატივისცემას და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. მსხვერპლები ხშირად განიცდიან მნიშვნელოვან ტრავმას და ზიანს დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად და ისინი იმსახურებენ და საჭიროებენ ღირსეულად, პატივისცემით და თანაგრძნობით მოპყრობას მთელი სამართლებრივი პროცესის განმავლობაში. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია მსხვერპლთა უფლებების აღიარება. ეს უფლებები შეიძლება მოიცავდეს უფლებას, იყოს ინფორმირებული საქმის მიმდინარეობის შესახებ, იღებდეს მონაწილეობას სასამართლო პროცესებში, მათ შორის დისტანციური ფორმით. ამ უფლებების აღიარებითა და დაცვით, მოსამართლეები აძლიერებენ მსხვერპლს და უზრუნველყოფენ მისი ინტერესების გათვალისწინებას. მოსამართლეების მიერ მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებამ დიდი გავლენა იქონია მართლმსაჯულების განხორციელების ხერხზე ბევრ იურისდიქციაში. მსხვერპლთა საჭიროებებისა და უფლებების პრიორიტეტების მინიჭებით, ეს მიდგომები ხელს უწყობს სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის აღდგენას და უზრუნველყოს, რომ სამართლიანობა აღსრულდება. დაზარალებულები, რომლებიც გრძნობენ პატივისცემასა და მხარდაჭერას, უფრო მეტად ითანამშრომლებენ სამართალდამცავ ორგანოებთან და თავისუფლად მიიღებენ მონაწილეობას სასამართლო პროცესებში.

გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამართლიანი და დროული მართლმსაჯულება. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ გენდერული ძალადობის საქმეების სამართლიანი და სწრაფი სასამართლო პროცესი. ხანგრძლივი სასამართლო პროცესი არა მხოლოდ ახანგრძლივებს მსხვერპლთა ტრავმას, არამედ ზრდის მტკიცებულებების განადგურების და მოწმეების დაშინების ალბათობას. დაგვიანებულმა მართლმსაჯულებამ შეიძლება შეაფერხოს მსხვერპლები სამართლებრივ ქმედებებისგან, რაც მოძალადეებს თავისუფლად ტოვებს, გააგრძელონ თავიანთი ძალადობრივი ქცევა დაუსჯელად. უფრო მეტიც, ხანგრძლივმა სასამართლო პროცესებმა შეიძლება დააკისროს დამატებითი ფინანსური და ემოციური ტვირთი მსხვერპლს, რაც ხელს უშლის მათ უნარს აღადგინონ თავიანთი ცხოვრება და გათავისუფლდნენ მათ მიერ გადატანილი ტრავმისგან. სამართლებრივი პროცესის დაჩქარებით, მართლმსაჯულება შეიძლება სწრაფად აღსრულდეს, რაც აგზავნის მძლავრ გზავნილს, რომ სახელმწიფო სერიოზულად ეკიდება გენდერულ და ოჯახში ძალადობას და მოწოდებულია მოძალადეს დაეკისროს სათანადო პასუხისმგებლობის მის მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის.

სამართლიანმა და სწრაფმა სასამართლო პროცესებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშონ საზოგადოების ნორმებისა და დამოკიდებულებების ცვლილებაში. ასეთი ქცევის საჯაროდ დაგმობით იურიდიული არხებით, სასამართლოებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ კულტურული აღქმის შეცვლასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში. გარდა ამისა, სამართლებრივი პროცესის გამჭვირვალობამ შეიძლება წაახალისოს სხვა მსხვერპლები, რომ დაარღვიონ ამ საკითხების ირგვლივ არსებული სიჩუმე და შექმნან მხარდამჭერი გარემო გადარჩენილებისთვის.

თუმცა, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელება გამოწვევების გარეშე არ არის. მოსამართლეებმა უნდა დააბალანსონ მსხვერპლის უფლებები და ინტერესები ბრალდებულის უფლებებთან და სისხლის სამართლის სისტემის უფრო ფართო მიზნებთან, როგორიცაა შეკავება და რეაბილიტაცია. როდესაც ინდივიდი მოძალადედაა ცნობილი პარტნიორის ან ოჯახის წევრის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სხვა ფორმით ძალადობაში, სასამართლოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებაში, არამედ მისთვის ასევე პრიორიტეტული უნდა იყოს მოძალადის რეაბილიტაცია და მისი ქცევის კორექცია. ძალადობის ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად და ქცევის ცვლილების ხელშეწყობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სასამართლოს მიერ ძალადობის ყველა საქმეში მოძალადისთვის ძალადობრივი ქცევის მოდიფიკაციის კურსის გავლის განსაზღვრა. აღნიშნულმა კურსმა მონაწილეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა გაიგონ და დაუპირისპირდნენ ძალადობრივი ქცევის ხელშემწყობ ფაქტორებს, რითაც შეწყდება ძალადობრივი ციკლი და ხელი შეეწყობა მოამავალში ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის თავისებურებანი

ძალადობის გავრცელების არეალი

ძალადობა, თავისი უამრავი ფორმით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას საზოგადოებისათვის მთელ მსოფლიოში. ფიზიკური ძალადობიდან დაწყებული ფსიქოლოგიურ მანიპულაციამდე, მისი ეფექტები ვრცელდება ადამიანთა ურთიერთქმედების ყველა ასპექტს და ტოვებს მძიმე კვალს. ძალადობის გავრცელების არეალის კვლევა, გაგება ფუნდამენტურია ამ რთული საკითხის გადასაჭრელად, მაღალი რისკისა და დაუცველი ჯგუფების იდენტიფიცირებისა და ფაქტებზე მორგებული პრევენციის ღონისძიებების შესამუშავებლად. ძალადობის დინამიკის გააზრება აუცილებელია ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის მისი მავნე ზემოქმედების შესამცირებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევების (კერძოდ შემაკავაბელი ორდერების გამოცემის მაჩვენებლის მიხედვით) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2020 წელს. აღნიშნულ წელს შინაგან საქმეთა სამნისტროს მიერ გამოიცა 10321 შემაკავებელი ორდერი 17860 პირის მიმართ.[23] გავრცელების არეალის მიხედვით შემაკავებელი ორდერების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოცემული იყო თბილისში, მაჩვენებლებით თბილისს მოყვებოდა აჭარა, კახეთი, ქვემო ქართლი და იმერეთი. შემაკავებელი ორდერების გამოცემის მიხედით ბოლო ადგილზე იყო რაჭა-ლეჩხუმი (**იხ. ინფოგრაფიკი N1**).

2020 წელს ყველაზე მეტად გავრცელებული ფსიქოლოგიური (9503) და ფიზიკური (2587) ძალადობა იყო.[24] სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ქალი მსხვერპლების რაოდენობა ბევრად აღემატება კაცი მსხვერპლების რიცხობრივ მაჩვენებელს. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შემაკავებელი ორდერები კი უმეტესად 25 დან 44 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე გამოიცემოდა. 2020 წელს შემაკავებელი ორდერების გამოცემის მაღალ მაჩვენებელს შესაძლო ლოგიკური ახსნა, პანდემია აქვს. პანდემიის პირობებში გაიზარდა ქალების ზრუნვის ტვირთი ოჯახებში, გართულდა მათი ეკონომიკური მდგომარეობა და მოძალადეებთან ხანგრძლივი დროით ყოფნის პირობებში გაიზარდა ოჯახში ძალადობის რისკები.[25]

---

[23] შინაგან საქმეთა სამინისტრო, "ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) - საანგარიშო პერიოდი: 2020-01-01 - 2020-12-31", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/60376686996f1.pdf

[24] შინაგან საქმეთა სამინისტრო, " ძალადობის სახეების სტატისტიკა - საანგარიშო პერიოდი: 2020-01-01 - 2020-12-31", ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/6037669b135d6.pdf

[25] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, "მამა და დედა ჩხუბობენ ხანჯლებით: პანდემიის გავლენა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე", 2020, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://socialjustice.org.ge/ka/products/mama-da-deda-chkhuboben-khanjlebit-pandemiis-gavlena-kalta-mimart-da-ojakhshi-dzaladobaze



ინფოგრაფიკი N1

კვლევების მიხედვით ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ კორონავირუსის პანდემიის დაწყებიდან გაიზარდა დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის ფაქტები, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 11%-ს სმენია, ან უგრძვნია დისკრიმინაციის ზრდა მას შემდეგ, რაც კორონავირუსის პანდემია დაიწყო.[26]

2021 წლიდან ფიქსირდება შემაკავებელი ორდერების გამოცემის მაჩვენებლის შემცირება. წლების მიხედვით შემაკავებელი ორდერების გამოცემის მაჩვენებელი შემდეგია: 2021 წელს გამოცემულია 9376 შემაკავებელი 16328 პირის მიმართ,[27] 2022 წელს სულ გამოცემულია 8748 შემაკავებელი 15212 პირის მიმართ[28], 2023 წელს სულ გამოცემულია 8734 შემაკავებელი 15194 პირის მიმართ [29] . აღნიშნულ წლებში საკვლევი არეალის მიხედვით ყველაზე მეტი შემაკავებელი ორდერი გამოცემულია კახეთის რეგიონში, მას მოყვება იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი. **(იხ. ინფოგრაფიკი N2)**

2023 წელს შემაკავებელი ორდერების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით სულ რამდენიმე ერთეულით შემცირდა. საერთო ფონი კვლავ იგივე რჩება. ასევე კვლავ იგივეა ძალადობის მსხვერპლთა ასაკობრივი მაჩვენებლები და ძალადობის სახეები. სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ მაჩვენებლების მცირედი ცვლილება, ძალადობის საერთო ფონს ქვეყანაში არ ამცირებს.

დადებითად აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისრომ დაიწყო ცალკე სტატისტიკის წარმოება/გამოქვეყნება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე შემაკავებელი ორდერების გამოცემის შესახებ. საჯარო ინფორმაციის მიხედვით 2023 წელს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე გამოცემულია 791 შემაკავებელი ორდერი 1458 პირის მიმართ.[30] აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებშიც მოძალადეების უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ. **(იხ. ივფოგრაფიკი N3)**

მონაცემებზე დაყრდნობით ყველაზე მეტი შემაკავებელი ორდერი საკვლევი არეალის მიხედვით გამოცემულია იმერეთში (52), მას მოყვება კახეთი (41) და რაჭა ლეჩხუმი (2). ძალადობის სახეების მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობის

---

[26] UNDP, UNFPA, UN Women, "საქართველოში COVID 19 -ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება", 2021, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/undp_ge_dg_covid_gender_assessment_2021_geo.pdf

[27] შინაგან საქმეთა სამინისტრო, "ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) ახალი - საანგარიშო პერიოდი: 2021-01-01 - 2021-12-31", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/620a26e57314e.pdf

[28] შინაგან საქმეთა სამინსტრო, "ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) - საანგარიშო პერიოდი: 2022-01-01 - 2022-12-31", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/63d8e70e9a8b2.pdf

[29] შინაგან საქმეთა სამინისტრო, "ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) საანგარიშო პერიოდი: 2023-01-01 - 2023-12-31", ხელმისაწვდომია ბმულზე:https://info.police.ge/uploads/65e5cca1768b1.pdf

[30] იქვე

შემთხვევებზე გამოცემულ ორდერებშიც უმეტეს შემთხვევაში ორდერი გამოცემულია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე.[31]





ინფოგრაფიკი N2

[31] იქვე

სტატისტიკური მონაცემებისგან განსხვავებით, ფოკუს ჯგუში გამოიკვეთა, რომ ფსიქოლოგიურზე მეტად რეგიონში გავრცელებულია ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიურ ძალადობას კი მოსახლეობის მხრიდან ნაკლები ყურადღება ეთმობა. მოსახლეობის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე ნაკლები ყრადრების გამახვილება შეიძლება გამოწვეული იყოს ძალადობის ამ ფორმაზე საკმარისი ცნობიერების არ არსებობით, ან/და მისთვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭებით. თუმცა ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ერთხმად აღიარებდნენ, რომ რიგ შემთხვევებში ფსიქოლოგიური ძალადობა შესაძლოა უფრო მძიმე იყოს მსხვერპლებისთვის, მასთან შემდგომ გამკლავების სირთულიდან გამომდინარე, ვიდრე ფიზიკური ძალადობა.

> *ფიზიკური ძალადობაზე კიდე უფრო მეტად ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება არ ხდება. ამ ხრივ ჯერ ცნობიერებაც არ არის და შემდეგ შეიძლება საზოგადოების სხვა წევრები ხვდებიან რომ ამაზე უნდა იყოს რეაგირება, მაგრამ ვერ საუბრობენ ხმამაღლა იმიტომ რომ რაიონში ისედაც ცოტა ხალხი ცხოვრობს, ყველა ერთმანეთს იცნობს, შესაბამისად ძალიან უჭირთ ამ თემებზე საუბარი.*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*





ინფოგრაფიკი N3

შინაგან საქმეთა სამინისროს სტატისტიკური მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ საკმაოდ დაბალია შემაკავებელი ორდერების გამოცემა ეკონომიკური ძალადობის ფორმებზე. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ფარგლებში იკვეთება, რომ საკმაოდ ხშირი და მძიმეა ეკონომიკური ძალადობა რეგიონებში. ეკონომიკური ძალადობის ანგარიშგების მაჩვენებელი შეიძლება დაბალი იყოს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების გამო, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს კულტურული, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის მიხედვით. რეგიონებში, სადაც ყველაზე მეტად შეიგრძნობა ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების სიმწირე, ქალების დიდი ნაწილი ეკონომიკურად დამოკიდებულია ქმარზე, პარტნიორზე, ოჯახის სხვა წევრებზე. ეს დამკიდებულება საზოგადოების წევრების მხრდან აღიქმება ნორმად, შესაბამისად განსაკუთრებული აქცენტის ძალადობის ამ ფორმის გაცხადებაზე არ კეთდება. დამატებით, ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები, უფრო რთული ეკონომიკური ძალადობის შიშით თავს იკავებენ ძალადობის ამ ფორმის გაცხადებაზე.

ღიად ჩვენ თუ ვიგებთ არის ფიზიკური ძალადობა. მე მაგალითად ვერ ვიგებ, ვინ არის ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

როცა მაგალითად ოჯახში კაცს შემოაქვს ფული, მინახავს ჩემ გარშემო რომ იყიდა, რაღაც პროდუქტი და ამას განუსაზღვრავს რამდენი ხნის განმავლობაში უნდა იყოს და გამოიზოგოს, დაუზუსტებიათ მაგალითად რომ უნდა გევყოს თვიდან თვემდე, მაგალითად შაქარი, ანუ უზღუდავს რა რაოდენობას, აიძულებს ამაზე მეტი შაქარი არ ჩაყაროს დაუშვათ ჩაია თუ ყავა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

ზოგიერთ შემთხვევაში, ეკონომიკური ძალადობა შეიძლება ნორმალიზდეს ურთიერთობებში ან კულტურულ კონტექსტში, რაც ართულებს მსხვერპლს ძალადობის ამოცნობას ან მის აღქმას, როგორც პრობლემას, რომელიც საჭიროებს ჩარევას და შესაბამისად მასზე რეაგირებისთვის სამართალდამცავებისთვის მიმართვას.

წლების ოჯახი დავანგრიე, ძალადობის მსხვერპლი ვიყავი. დიდხანს ამაზე ვერ ვსაუბრობდი, მაგრამ ახლა შემიძლია მოგიყვეთ. იცით, ყველაზე გვიან ეკონომიკური ძალადობა გავაცნობიერე. მეუბნებოდა, რატომ უნდა იმუშაო?! მე ვერ უზრუნველგყოფ?! თავიდან ვფიქრობდი ხელის გულზე მატარებდა და ამიტომ არ უნდოდა, რომ მემუშავა. მძიმე ძალადობაზე როცა გადავიდა და მინდოდა გავრიდებოდი და დამეწყო სამსახური უკვე აკრძალვაზე გადავიდა. თავიდან მზრუნველობად ვთვლიდი, მაგრამ მერე მივხვდი რაშიც იყო საქმე. ის იყო შემომტანი და რასაც ის იტყოდა იმას ვაკეთებდი. როდესაც ზუსტად ვიცოდი, რა ძალადობის მსხვერპლი ვიყავი, მერე შვილებზე ვფიქრობდი სტუდენტები იყვნენ და როგორ უნდა შემენახა ისინი თუ ქმარს გავშორდებოდი?!

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

ეკონომიკური კონტროლის ტაქტიკა შეიძლება ჩაითვალოს მოძალადის მხრიდან ზრუნვის ან შეშფოთების გამოხატულებად, რაც კიდევ უფრო ართულებს მსხვერპლის გაგებას მათი მდგომარეობის შესახებ. მსხვერპლებმა შეიძლება პრიორიტეტი მიანიჭონ დაუყოვნებელ ფინანსურ სტაბილურობას, ვიდრე ეკონომიკური ძალადობის შესახებ შეტყობინებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ არ აქვთ შემოსავლის ალტერნატიული წყაროები ან ექმნებათ არასტაბილური დასაქმების სიტუაციები. საბინაო არასტაბილურობა, ვალები ან ფინანსური პასუხისმგებლობები გადაწონის ძალადობრივი გამოცდილების მძიმე შედეგებს.

სხვადასხვა ტიპის ძალადობის დაბალი ანგარიშგების მაჩვენებლის გაზრდა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, კულტურულად კომპეტენტურ მხარდაჭერას, საკანონმდებლო რეფორმებს და ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივებს, რომლებზეც უფრო ვრცლად კვლევის შესაბამის თავებშია მოცემული.

გენდერული უთანასწორობა

გენდერული და ოჯახში ძალადობა წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას ქართული საზოგაოდებისთვის, გენდერული როლები და სტერეოტიპები კი კვლავ ფესვგადგმულია სოციუმში.[32] მიუხედავად გაზრდილი ინფორმირებულობისა და ძალადობის ამ ფორმებთან საბრძოლველად დახარჯული ძალისხმევისა, ისინი აგრძელებენ არსებობას ყველა ასაკის, სქესის და წარმომავლობის ინდივიდში. გენდერული და ოჯახში ძალადობის ეფექტური პრევენციისთვის, აუცილებელია გავიგოთ გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც ამძაფრებს მათ მუდმივობას და განგრძობადობას.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების და ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ გენდერული და ოჯახში ძალადობის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების ცენტრის ბირთვში დგას ღრმად ფესვგადგმული გენდერული როლები, რომლებიც აგრძელებენ ძალაუფლების დისბალანსს გენდერებს შორის. საზოგადოებაში გავრცელებული პატრიარქალური სტრუქტურები მხარს უჭერენ რწმენას კაცების დომინირებისა და ქალის დაქვემდებარებას, რაც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზებისთვის. გენდერული სტერეოტიპები კიდევ უფრო ამყარებს ამ დინამიკას მამაკაცებისა და ქალების როლების ხისტი გამიჯვნით და ფორმულირებით.

„ქალია და უნდა მოითმინოს“

„ქალი საჭმელს თუ არ დაგახვედრებს და სახლს დალაგებულს მერე კაცი კი ეტყვის რამეს“

დედაზე უკეთ ბავშვს ვინ გაზრდის?!

„ბაღში გოგონებს დალაგებას, ბიჭებს ეზოს მოვლას ასწავლიან და გიკვირთ მერე ზრდასრულ ასაკში რატომ ჩაგრავენ ადვილად?! ბავშობაშივე ასწავლიან ბავშვებს რა არის გასაკეთებელი“

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები

[32] გრევიო, "Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) GEORGIA", პარ. 22, გვ.13, 2022, ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

გენდერული და ოჯახში ძალადობის წამახალისებელი გენდერული უთანასწორობა სათავეს იღებს სტერეოტიპიდან და მოლოდინებიდან, რომლებიც ინდივიდებს ანიჭებენ სხვადასხვა როლებს, პასუხისმგებლობებსა და პრივილეგიებს მათი გენდერული იდენტობიდან გამომდინარე. კვლევის მონაწილეების მოსაზრებით თემებში ჯერ კიდევ დომინირებს მოსაზრებები, რომ ქალები პირველ რიგში უნდა იყვნენ დიასახლისები, შვილების აღმზრდელები, კარგი დედები, სამაგალითო ცოლები, ხოლო კაცები მარჩენალი და მთავარი გადაწყვეტილების მიმღები. ეს როლები დაისწავლება და ძლიერდება სოციალიზაციის პროცესების მეშვეობით, დაწყებული ბავშვობიდან და გრძელდება მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. აღნიშნული დამოკიდებულება და როლების ამ სახით განაწილება ზღუდავს ქალების შესაძლებლობებს და აძლიერებს ძალაუფლების დისბალანსს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ძალადობის დაფარვისა თმენის გამომწვევია ასევე გენდერული სტერეოტიპებით ნაკარნახები აღზრდის სტილი ემოციების გამოხატვასა და მართვასთან დაკავშირებით. საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი გენდერული როლები კარნახობს, თუ როგორ უნდა გამოხატონ ინდივიდებმა თავიანთ ემოციები. მაგალითად, ბიჭები ხშირად სოციალიზებულნი არიან ისეთი ემოციების ჩასახშობად, როგორიცაა დაუცველობა, სევდა ან შიში, და ამის ნაცვლად, გამოავლინონ თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია თავდაჯერებულობასთან, მიზნის მიღწევასთან, ძალის დემონსტირებასთან. გოგონები, თავის მხრივ, შეიძლება წაახალისონ, გამოავლინონ ისეთი თვისებები როგორიცაა მოთმენა, თანაგრძნობა, პრობლემის მშვიდად მოგვარება. გოგონებისთვის ბავშვობის ასაკიდან თმენის და „კარგი გოგო“-ს როლის გააზრება და შესრულება ზრდასრულ ასაკში შესაძლებელია ხდებოდეს ძალადობრივი გარემოს გაძლების, ერთგვარი მზრუნველობის გამოჩენის და მოძალადის გამოსწორების იმედით ძალადობის ხანგრძლივად ატანის მიზეზი. სტერეოტიპული შეხედულებები კაცისა და ქალის შესაძლებლობების, თვისებებისა და ქცევის შესახებ ხელს უწყობს უთანასწორობას გენდერის შესახებ მავნე იდეების გამყარებით. მაგალითად, სტერეოტიპი, რომ ქალები ემოციურები და ირაციონალურები არიან, იწვევს მათი ხმის უარყოფას, ძალადობის გაცხადების შემთხვევაში მსხვერპლისადი უნდობლობას, რომ მან კაცის ქმედება გააზვიადა, დამშვიდდება და შემდეგ დაფიქრდება და ა.შ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, გენდერული სტერეოტიპების დეკონსტრუქცია აუცილებელია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და უფრო ინკლუზიური და მრავალფეროვანი საზოგადოების განვითარებისთვის. ეს გულისხმობს სტერეოტიპების მავნე ზემოქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, გენდერული როლებისა და მოლოდინების ტრადიციული ცნებების გამოწვევას და გარემოს

შექმნას, რომელიც მოუწოდებს ინდივიდებს გამოხატონ საკუთარი თავი ავთენტურად და განახორციელონ თავიანთი ინტერესები და მისწრაფებები გენდერული ნორმების შეზღუდვებისგან. გენდერული და ოჯახში ძალადობა არის კომპლექსური ფენომენი, რომელიც ყალიბდება მრავალი ფაქტორით. ამ ძირეული ფაქტორების აღმოფხვრა მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც ეწინააღმდეგება ფესვგადგმულ გენდერულ როლებს, ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას, აძლიერებს მსხვერპლებს ემოციურად, აძლიერებს დამხმარე სერვისებს აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

კულტურული ნორმები და პრაქტიკები

გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად მყარდება და განმტკიცებულია სხვადასხვა კულტურული ნორმებითა და პრაქტიკით. ზოგიერთ კულტურაში, ქალთა მიმართ ძალადობა ნორმალიზდება რელიგიური კონტექსტებით თუ ყოველდღიური ურთიერთქმედებით. ეს ნორმალიზება ამცირებს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას გენდერული და ოჯახში ძალადობის საკითხის მიმართ, ძალადობის ფენომენს უკარგავს სერიოზულობას და აძლიერებს მის მიღებას. ეს პრაქტიკა ხშირად გამომდინარეობს ღრმად ფესვგადგმული კულტურული შეხედულებებიდან და ნორმებიდან, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ მამაკაცის ავტორიტეტსა და კონტროლს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკვლევ არეალში, განსაკუთრებით კი მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში, ოჯახის აღქმული პატივი პრიორიტეტულია ოჯახის ცალკეული წევრების კეთილდღეობაზე. კულტურული ნორმები კარნახობენ, რომ გარკვეული თემები, მათ შორის ოჯახში ძალადობა, ღიად არ განიხილება და ოჯახის საქმეა. დუმილის ეს კულტურა მსხვერპლს აიძულებს თავი შეიკავოს ძალადობრივი გამოცდილების გამჟღავნებისგან. მსხვერპლზე ხდება ზეწოლა, რომ გაჩუმდნენ ძალადობის შესახებ, რათა თავიდან აიცილონ ოჯახის რეპუტაციის შელახვა ან მათი ნათესავების შერცხვენა. ჯერ კიდევ სერიოზული გამოწვევაა, მსხვერპლისთვის დუმილის მოთხოვნა იმ არგუმენტით, რომ ძალადობას ოჯახის სხვა წევრი ქალებიც იტანდნენ ან/და იტანენ ძალადობას.

მე არ მინდა ჩემი ოჯახის საქმე ვინმემ გაარჩიოს, მასე არ ენდომება სხვასაც, თუ უნდა თვითონ დარეკავს 112 – ზე.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ლენტეხის მუნიციპალიტეტი

დახმარება რომ გინდა, ჩაერევი და მერე აქეთ მოგადგებიან შენ ვინ გეკითხებოდა ოჯახის საქმესო. მაგრამ რაღაცნაირად ეს დამუნათება უნდა გადავლახოთ და ზუსტადაც გავხადოთ სხვისი საქმე უსაფრთხო გარემოში ცხოვრება ქალების

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

ოჯახის ღირსების შელახვასთან ერთად ძალადობის ფაქტზე ხმამაღლა საუბარში მსხვერპლებს ხელს უშლის სოციალური გარიყვის შიში. კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ხშირად ადანაშაულებენ საკუთარ ძალადობაში, საზოგადოება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ ქცევას, ტანსაცმლის არჩევანს, ზოგადად ვიზუალს ნაცვლად იმისა, რომ მოძალადის ქმედების გაკიცხვაზე იყოს ორიენტირებული ყოველგვარი წინაპირობების ძიების გარეშე. მსხვერპლის დადანაშაულების „კულტურა“ აძლიერებს აზრს, რომ მსხვერპლი რაღაცნაირად იმსახურებდა ან პროვოცირებდა ძალადობას.

კულტურული ნორმები ჩვენს საზოგადოებაში ასევე აყალიბებს მოლოდინებსა და ნორმებს სექსუალობისა და რომანტიული ურთიერთობების გარშემო, ქალის სექსუალური ცხოვრება აქტიურად მიიჩნევა კოლექტიურ საკუთრებად და არა მის პირად საკუთრებად. კვლევაში მონაწილეთა აზრით, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ კაცები შეიძლება იყვნენ სექსუალურად დომინანტურები, ხოლო ქალები ხშირად პასიურები და მორჩილები. აღნიშნული მოსაზრებების გავრცელებას ხელს უწყობს რელიგიური მიდგომები და სწავლებები, რომლებიც ხაზს უსვამს კაცის მორჩილების მნიშვნელობას, გამძლეობას უბედურების წინაშე, პატიებას, რაც იწვევს მსხვერპლში სირცხვილის გრძნობას ძალადობაზე საუბრის და შეურაცხმყოფელი გარემოს დატოვების გამო.

გაშორებული ხარ და ახლა უფრო ისე უნდა მოიქცე, ვინმემ რამე არ თქვას. ანუ ოჯახის წევრებისგან შეზღუდული მქონდა პირადი ცხოვრების ქონის უფლება, მეზობელს რამე რომ არ ეთქვა.

ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი

იმდენად დიდია საზოგადოების წნეხი, პარტნიორის მხრიდან ძალადობის ატანის ერთ-ერთი ფაქტორი ეგეც იყო. დიდი შვილები მყავდა და არ მინდოდა ვინმეს გაეგო ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ.

ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი

გენდერული და ოჯახში ძალადობის ირგვლივ არსებული კულტურული სტიგმისა და მანკიერი მიდგომის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესად მოითხოვს ფესვგადგმული რწმენისა და დამოკიდებულების შეცვლას ცნობიერების ამაღლების და გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი თემების ადრეული ასაკიდან სწავლების გზით. განათლება საკვანძოა გენდერული და ოჯახში ძალადობის ირგვლივ დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გარდაქმნისთვის. ადრეული ასაკიდანვე გენდერული თანასწორობის თემების სწავლებით, ჩვენ შეგვიძლია მომავალ თაობებში დავნერგოთ სხვისი უფლებების პატივისცემის, თანაგრძნობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ღირებულებები. სექსუალური განათლების ყოვლისმომცველ პროგრამებს, რომლებიც მოიცავს დისკუსიებს თანხმობის და ჯანსაღი ურთიერთობების შესახებ, შეუძლია საზოგადოების წევრებს განუვითაროს უნარები, ამოიცნონ და დაუპირისპირდნენ მავნე ქცევებს, სანამ ისინი ძალადობაში გადაიზრდება.

გენდერული და ოჯახური ძალადობის საკითხზე დუმილი, მისი კვლავ ოჯახის საქმედ მიჩნევა აგრძელებს ძალადობის ციკლებს, აძლიერებს მავნე სტერეოტიპებს და აგრძელებს მსხვერპლთა ტანჯვას. ამ დუმილის დარღვევა მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე ცნობიერების ამაღლებაა - ის მოითხოვს აქტიურ მუშაობას ფუნდამენტური ცვლილებებისთვის კულტურულ დამოკიდებულებებსა და რწმენაში. კულტურულ სტიგმებთა ბრძოლაში მნშვნელოვანია სუბკულტურის სპეციალისტების ჩართვა. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ე.წ ტრადიციულ, სტერეოტიპული მიდგომების გადაფასებას და კონკრეტული კულტურის მატარებელი საზოგადოებისთვის სწორი ფასეულობების მიღებას ეტაპობრივად. თუმცა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ კულტურული სტიგმებთან ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი. სხვადასხვა

საზოგადოებას შეიძლება დასჭირდეს განსხვავებული მიდგომები, მორგებული მათ უნიკალურ კულტურულ კონტექსტზე და სენსიტიურობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია თემის ლიდერების, პედაგოგების და სათემო აქტივისტების ჩართვის მნიშვნელობა გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ადვოკატირების ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უნდა დაიგეგმოს ყოველი თემისთვის ინდივიდუალურად, და მოერგოს სხვადასხვა თემის უნიკალურ საჭიროებებსა და გამოწვევებზე.

გენდერული და ოჯახური ძალადობის ირგვლივ არსებული მავნე კულტურული ნორმების ცვლა მოითხოვს კოლექტიური ძალისხმევას, რომელიც სცილდება კულტურულ საზღვრებს და გვაერთიანებს საერთო ვალდებულებაში, შევქმნათ უსაფრთხო, უფრო სამართლიანი გარემო ყველასთვის. სუბკულტურის სპეციალისტების ჩართვით, სპეციალური ადვოკატირების ღონისძიებების დაგეგმვით და გენდერული თანასწორობის თემების ადრეული ასაკიდანვე სწავლებით, ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ სტიგმისა და გაკიცხვის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებები, რომლებიც ხდლს შეუწყობს მნიშვნელოვან ცვლილებებს ამ მიმართულებით.

ეკონომიკური ფაქტორები

სოციალური საკითხების რთულ ქსელში, სიღარიბის, ფინანსური დამოკიდებულებისა და ოჯახური ძალადობის ურთიერთობა არის მკვეთრი რეალობა, რომელიც მოითხოვს ჩვენს ყურადღებას. ეკონომიკური დამოკიდებულება ხშირად პროვოცირებს და ამძაფრებს ოჯახში ძალადობას. ფინანსურმა სირთულეებმა შეიძლება დაძაბოს ურთიერთობები, გამოიწვიოს დაძაბულობა და კონფლიქტი ოჯახებში. უფრო მეტიც, ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შეიძლება შეზღუდოს რესურსებზე ხელმისაწვდომობა იმ პირებისთვის, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს და აკავებენ მათ ძალადობის ციკლში.

> *რამდენი ხანი ვიარე მერიაში ერთი გოგოს დასახმარებლად იცით?! არაფერი არ გვაქვსო მეუბნებიან და ვერც ვერსად გადაგამისამართებთო. ცხოვრობა ეს გოგო მოძალადე ქმრის ოჯახში რა ექნა?! ბოლოს ისევ არასამთავრობო ვიპოვნე და იქ გავაგზანე მსხვერპლი ისინი დაეხმარნენ.*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ფინანსური დამოკიდებულება მოძალადე პარტნიორზე ან ოჯახის სხვა წევრზე სირთულის კიდევ ერთ ფენას მატებს მათ გასაჭირს. ეკონომიკური კონტროლი არის ჩვეულებრივი ტაქტიკა, რომელსაც იყენებენ მოძალადეები თავიანთ მსხვერპლზე ძალაუფლებისა და დომინირების შესანარჩუნებლად. ფინანსების კონტროლით, მოძალადეები კიდევ უფრო მეტად აქცევენ იზოლაციაში მსხვერპლებს და ართმევენ შესაძლებლობას მოიძიოს გზა ძალადობისგან თავის დასაღწევად. მონაწილეთა განცხადებით მოძალადის მიერ ხდება ფულზე წვდომის, ფინანსების ხარჯვის, დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდვა. უფრო მეტიც, საზოგადოებრი ნორმები, რომლებიც აიგივებს მამაკაცურობას ფინანსურ წარმატებასთან, აძლიერებს არაადეკვატურობისა და იმედგაცრუების განცდას კაცებში, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ სირთულეებს, რაც რიგ შემთხვევებში კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას ოჯახში და კაცები კიდევ მეტად ზღუდავენ ქალებს ფინანსების განკარგვაში.

> *ვიცი შემთხვევა როცა ქალია შემომტანი, კაცი ამას დაკნინებად იღებს და ძალადობით ცდილობს დაამციროს ქალი*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, მემკვიდრეობით საკუთრების მხოლოდ კაცებისთვის გადაცემის, როგორც ქალის ფინანსური დამოუკიდებლობის ხელშემშლელი ფაქტორი. კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით ჩვენს საზოგადოებაში, ჯერ კიდევ კულტურული ნორმები კარნახობს, რომ ქონება და მატერიალური დოვლათი ოჯახისგან მემკვიდრეობით უნდა გადაეცეს კაცებს. ეს კაცზე ორიენტირებული მემკვიდრეობითი სისტემა არა მხოლოდ ეკონომიკურად ჩაგრავს ქალებს, არამედ ხელს უწყობს ოჯახური და გენდერული ძალადობის უფრო მაღალ მაჩვენებელს, რაც აგრძელებს ჩაგვრის ციკლს. როდესაც მემკვიდრეობითი უფლებები ექსკლუზიურად მამრობითი სქესის მემკვიდრეებს ენიჭებათ, ქალები და გოგონები არიან დაქვემდებარებულ როლებში, მათ ერთმევათ ეკონომიკური ავტონომია და იძულებულნი არიან გახდნენ კაცებზე დამოკიდებული.

> *ჯერ არი და ოჯახი გჩაგრავს, რაც მაქვს ქონება ბიჭისააო, მერეა და ქონება ქმრის სახელზეა, კაცია მაინც და ასე გრძელდება ქალების ჩაგვრა მუდმივად თუ ვინმე არ დაეხმარა, არ გააძლიერა და არ უთხრა რისი უფლება აქვს და თავი როგორ დაიცვას.*
>
> *ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

გენდერული და ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორი კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით ასევე ხდება ზოგადი უმუშევრობა და ეკონომიკური სიდუხჭირე. უმუშევრობა, სამუშაოს დაკარგვა და ფინანსური არასტაბილურობა აძლიერებს დაძაბულობა ოჯახში, რაც ზრდის სტრესისა და კონფლიქტი ოჯახში. უმუშევრობა ან არასრულფასოვანი დასაქმება, დაბალი შემოსავალი პატრიარქალურ საზოგადოებაში კაცებს აგრძნობინებს თავს დაკნინებულად, რის კომპენსირებასაც ისინი ძალადობით და ძალადობის გზით ძალაუფლების და კონტროლის შეგრძნების მოპოვებით ცდილობენ. საბოლოო ჯამში კი, აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოჯახში ძალადობის დინამიკის ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის ირგვლივ დისკუსიები ხშირად ეძღვნება ძალაუფლების, კონტროლისა და გენდერული დინამიკის საკითხებს, ერთი ფაქტორი, რომელიც ხშირად შეუმჩნეველი რჩება, არის საშინაო სამუშაოს როლი ოჯახში. ტრადიციული გენდერული ნორმები და მოლოდინები ხშირად კარნახობს, რომ ქალებს ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა ოჯახში საშინაო სამუშაოებზე, მათ შორის ისეთი ამოცანების ჩათვლით, როგორიცაა სამზარეულო, დასუფთავება და ბავშვის მოვლა. შრომის ეს არათანაბარი დანაწილება არა მხოლოდ აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას, არამედ არაპროპორციულ ტვირთს აყენებს ქალებს, რაც მათ ნაკლებ დროსა და ენერგიას უტოვებს საკუთარი თავის მოვლისა და პირადი განვითარებისთვის. კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებით, შინ შრომა მის თანმდევ ეფექტებთან ერთად მჭიდრო კავშირშია ოჯახური ძალადობის წარმოქმნასთან და გაგრძელებასთან. საშინაო შრომაში სრული დატვირთულობა ხელს უწყობს ქალების სოციალურ იზოლაციას და მხარდაჭერის ნაკლებობას ოჯახში ძალადობისას. მოძალადეები სრულად აკონტროლებენ არა მხოლოდ მსხვერპლის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ ზღუდავენ გარე კომუნიკაციას, რითაც ახანგრძლივებენ ძალადობრივ ციკლს.

სიღარიბის, ფინანსური დამოკიდებულების, უხილავი და აუნაზრაურებელი შინშრომის და ოჯახური ძალადობის კავშირების ეფექტურად გადასაჭრელად, ინტერვენციები უნდა იყოს მრავალგანზომილებიანი. ქონების განაწილებისას გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა, ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები, უზრუნველყოფენ ქალთა გაძლიერებას და შესაძლებლობებს თავად ჰქონდეთ კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, ადრეულ ეტაპზევე შეძლონ ძალადობის რისკების იდენტიფიცირება და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრება. განათლება და ინფორმირებულობა მძლავრი იარაღია ეკონომიკური თანასწორიფლებიანობის გასაძლიერებლად. ცნობიერების ამაღლების კამპანიებს,

რომლებიც მიმართულია ქონებრივი თანასწურუფლებიანობისკენ, შეუძლია ცხადი გახადოს დამკვიდრებული მემკვიდრეობითობის მავნე შედეგები გენდერული და ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში.

ეკონომიკურ უთანასწორობას, დამოკიდებულებასა და ძალადობას შორის ურთიერთქმედების აღიარება აუცილებელია ყოვლისმომცველი სტრატეგიების შემუშავებისთვის, შესაბამისად მნიშვნელოვანია სახელმწიფო აღიარებდეს, რომ საჭიროა სტრუქტურული რეფორმები სიღარიბისა და უთანასწორობის ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, თემის ლიდერებთან თანამშრომლობა აუცილებელია გენდერული პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების და განხორციელებისთვის, რომლიც ხელს შეუწყობს თანასწორობას და მოახდენს გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენციას.

პოლიტიკური კონტექსტი როგორც ძალადობის ნორმალიზების საფუძველი

ქალები გენდერული ტიპის ძალადობას ცხოვრების ყველა სფეროში ხვდებიან და გამონაკლისს არ წარმოადგენს პოლიტიკა.[33] პოლიტიკურ სფეროში, სადაც ძალაუფლების დინამიკა ხშირად სუფევს, ქალთა მიმართ ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმები ჰქონდეს. ფიზიკური შეურაცხყოფიდან სიტყვიერ შეურაცხყოფამდე და სისტემურ დისკრიმინაციამდე, ქალები პოლიტიკაში აწყდებიან მრავალმხრივ გამოწვევებს, რომლებიც სცილდება ტრადიციული გენდერული როლების საზღვრებს. პოლიტიკურ სტრუქტურებში ასეთი ძალადობის ნორმალიზება არა მხოლოდ აგრძელებს დაუსჯელობის კულტურას, არამედ ემსახურება ქალების ხმის ჩახშობას და მარგინალიზებას საზოგადოებრივ დისკურსში.

> ***ტელევიზიაში სულ ძალადობას ვუყურებთ, პარლამენტიდან დაწყებული სხვა უწყებებით გაგრძელებული. ეს იმდენად ლექვავს საზოგადოების გონებაში, რომ ძალადობა დასაშვებია, რომ შემდგომ რთულია ამ დანალექის გასუფთავება***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე ჟურნალისტი***

[33] ეუთო, "პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა" გვ.1, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/4/0/534615.pdf

ქართულ პოლიტიკაში, სადაც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია და რჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ[34], ქალებზე ძალადობა არა თუ უცხო, პირიქით საკმაოდ გავრცელებულია [35] და ქართულ პოლიტიკას ახსოვს ძალადობის ძალიან მძიმე, პოლიტიკოსი ქალების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ფაქტებიც. [36] პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას სხვადასხვაგვარი, სერიოზული და მავნე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ქალების მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, შემოსავალზე, სამსახურზე, საკუთრებასა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე. ქალებმა შეიძლება პოლიტიკისგან დისტანცირება გადაწყვიტონ ან უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე და ამას მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს მათზე. ქალთა მიმართ ძალადობა ზეგავლენას ახდენს ამ ქალების ოჯახსა და თემზეც.[37]

ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში არ არის მხოლოდ იზოლირებული საკითხი, კვლევაში მონაწილეთა აზრით ის ღრმად არის გადაჯაჭვული ქალების უფლებებისა და ავტონომიის მიმართ საზოგადოების ფართო დამოკიდებულებებთან. როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის აქტები უპასუხოდ რჩება ან მათ გულგრილად ეკიდებიან, ეს სახიფათო მესიჯს აგზავნის საზოგადოებაში, რომ ასეთი ქცევა მისაღებია ან მოსალოდნელიც კი. და თუ ძალადობა მისაღები და დაუსჯელია მაღალ დონეზე, ეს ქმნის დაუსჯელობის განცდას საზოგადოების ყველა ფენაში. ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზება ილექება საზოგადოების ცნობიერებაში, არღვევს გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის სტრუქტურას.

---

[34] ევროპის საბჭო, "სექსიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ დონეზე საქართველოში",გვ.15, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/geo2638-guide-on-fighting-sexism-kat/1680a6b91f

[35] რადიო თავისუფლება, "„მოუ***ნელი", „აწყვეტილი", „გასუქებული" - სექსისტური ენა და გამოგონილი ამბები ქალების წინააღმდეგ", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/სექსისტური-ენა-და-გამოგონილი-ამბები-ქალების-წინააღმდეგ/32892744.html

პუბლიკა, "„ოცნების" წევრებმა ოპოზიციონერ დეპუტატ ქალებს პარლამენტში შეურაცხყოფა მიაყენეს", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/ocnebis-wevrebma-opozicioner-deputat-qalebs-parlamentshi-sheurackhyofa/

პუბლიკა, "„არ გავჩუმდებით და არ გავჩერდებით" - ქალი დეპუტატები", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://publika.ge/ar-gavchumdebit-da-ar-gavcherdebit-qali-deputatebi/

[36] ტაბულა,"ბესელია: მათიკაშვილ-ოხანაშვილის კომენტარებიდან განცდა რჩება, რომ მონაწილეები თავადაც არიან", 2019, ხელმისაწდომია ბმულზე: https://tabula.ge/en/news/621938-beselia-matikashvil-okhanashvilis-komentarebidan

[37] ეუთო, "პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა" გვ.10, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/4/0/534615.pdf

როდესაც უყურებ როგორ ძალადობენ ქალ პოლიტიკოსებზე, რომლებსაც თავის დაცვის წესით მეტი საშუალებები აქვთ და ამ ძალადობისთვის არავინ არასოდეს ისჯება, გამოვლენ ბოდიშს მოიხდიან და მთავრდება, ასე ბოდიშის მოხდით უნდათ ოჯახში ძალადობის გამოსწორებაც კაცებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე ჟურნალისტი

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობამ შეიძლება გააძლიეროს მავნე გენდერული სტერეოტიპები და მოლოდინები. საჯაროდ პოლიტიკოსი ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა საზოგადოებაში აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალები ნაკლებად იმსახურებენ პატივისცემას, მათი ადგილი პოლიტიკაში არაა და უკეთესი იქნება ისინი ქალებისთვის შესაფერისი საქმით დაკავდნენ. საპასუხოდ კი კვლევაში მონაწილეებს არ ახსოვთ საჯაროდ ძალადობის ჩამდენი პოლიტიკოსების მიმართ რაიმე სანქცია გამოყენებულიყოს.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის და მისი გენდერული და ოჯახში ძალადობაზე გავლენის შესამცირებლად აუცილებელია შეთანხმებული ქმედება მრავალ დონეზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ძლიერი მექანიზმები, რათა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენები პასუხისმგებელნი იყვნენ თავიანთ ქმედებებზე. ძალადობრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობა მოძალადეებს და იმ სტრუქტურებს ეკისრებათ, რომლებიც ძალადობას შესაძლებელს ხდიან და პრიორიტეტად ქალთა უსაფრთხოება არ აქვთ დასახული, მათ შორის, იგულისხმება მთავრობები, პარლამენტები.[38] ძალადობრივი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება იწვევს არა მხოლოდ იურიდიულ შედეგებს ჩადენილი ქმედებისთვის, არამედ კულტურულ ცვლილებას, რომელიც ცალსახად გმობს ასეთ ქცევას. გარდა ამისა, აუცილებელია სპეციალური დამხმარე ქსელების შექმნა, უსაფრთხოების ინსტრუმენტების[39] დანერგვა და ინსტიტუციურ დონეზე, პოლიტიკური პარტიების და მმართველი ორგანოების მიერ პრიორიტეტის მინიჭება ისეთი პროტოკოლების იმპლემენტაციისთვის, რომელიც თავიდან აიცილებს ქალთა მიმართ ძალადობას პოლიტიკაში.

[38] იქვე, გვ 14
[39] იქვე

ფსიქიკური და ემოციური ჯანმრთელობის ეფექტები

გენდერული და ოჯახში ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევას, ღრმა შედეგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხილული ჭრილობები დროთა განმავლობაში განიკურნება, გადარჩენილთათვის მიყენებული ფსიქოლოგიური ნაწიბურები უძლებს დროს, აყალიბებს მათ ფსიქიკას და მოქმედებს ემოციურ კეთილდღეობაზე. ძალადობასა და მის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას შორის რთული ურთიერთკავშირის გაგება გადამწყვეტია მსხვერპლთათვის ადეკვატური მხარდაჭერისა და სათანადო სერვისის შეთავაზებისთვის. გენდერული და ოჯახში ძალადობა მოიცავს შეურაცხმყოფელი ქცევების სპექტრს, მათ შორის ფიზიკურ, სექსუალურ, ემოციურ და ეკონომიკურ შეურაცხყოფას, რომელიც ძირითადად ქალების მიმართ ჩადენილია ინტიმური პარტნიორების ან ოჯახის წევრების მიერ. ძალადობის ამ ფორმებს ხშირად ემყარება ძალაუფლების დისბალანსი, პატრიარქალური ნორმები და საზოგადოების დამოკიდებულებები, რომლებიც აგრძელებენ გენდერულ უთანასწორობას და ამართლებენ ქალთა მიმართ ძალადობას.

გენდერისა და ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური გავლენა მრავალმხრივია და მოიცავს კოგნიტური ცვლილებებიდან [40] დაწყებული, სხვადასხვა ქცევის სირთულეებით, დეპრესიით, შფოთვით, ტრავმასთან დაკავშირებული აშლილობებით, ძილის დარღვევებით, სუსტი თვითშეფასებითა და სუბსტანციების ბოროტად გამოყენებით [41] დასრულებულ სირთულეებს. მსხვერპლები ხშირად განიცდიან შიშის, სირცხვილის, დანაშაულის და უღირსობის გრძნობას, რაც გამოწვეულია ძალადობის შედეგად მიღებული ტრავმით. მსხვერპლებს შეიძლება განუვითარდეთ პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა დარღვევები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუარესოს მათი ფუნქციონირება და ცხოვრების ხარისხი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მსხვერპლები აცხადებენ, რომ მათ მოძალადესთან ერთად უწევდათ გამუდმებულ შიში ცხოვრება. მათი თვითშეფასება და ემოციური მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო. მიმდინარე მძიმე ფიზიკური

[40] CFGF, "Psychological Impact of Domestic Violence on Women", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://center4girls.org/psychological-impact-of-domestic-violence-on-women

[41] ჟურნალი ფსიქოლოგი, "The Impact of Domestic Violence on Women's Mental Health" 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.psychologs.com/the-impact-of-domestic-violence-on-womens-mental-health/

ძალადობის ფონზე, მსხვერპლების ვალდებულება მოიცავდა ემოციურად გაწონასწორებულ, მოსიყვარულე და მზრუნველი ცოლის როლის მორგებასაც.

> ***ჯერ ბოლო დონეზე გამლანძღავდა, რას გავხარ, დებილი ხარ, შენ ხომ ვერ აზროვნებ. თუ შევეპასუხებოდი ფიზიკურად ძალადობდა და ვალდებული ვიყავი ეს არ შემემჩნია, მოვმსახურებოდი მას და ბავშვისთვის მზრუნველი დედა ვყოფილვიყავი.***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე მსხვერპლი***

დროთა განმავლობაში მსხვერპლები იწყებენ ფიქრს, რომ ძალადობაში დამნაშავეები ისინი არიან, რომ მათ ალბათ დაიმსახურეს ეს ძალადობა. მოძალადეები კი გამუდმებით იყენებდნენ ემოციური მანიპულირების გზებს, რაც მსხვერპლს მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობაში ამყოფებდა. საფრთხის შემცველ სიტუაციებში, როდესაც ადამიანი მთელი დღის განმავლობაში საფრთხისთვის მობილიზებული სხეულითაა და როცა ეს დღეები თვეებისა და წლების განმავლობაში გრძელდება, შინაგანი ორგანოები ზიანდება და მათი ფუნქციონირებაც იზღუდება.[42]

კვლლევის ფარგლებში გამოკითხული ძალადობის მსხვერპლები აცხადებენ, რომ ძალადობის ფაქტებიდან წლების შემდეგაც მათ აწუხებთ კოშმარები, აკვიატებული სიზმრები. ტრავმული მოვლენების მუდმივი ხელახლა გახსენება აკარგვინებთ მათ უსაფრთხოების განცდას, რაც პერიოდულად იწვევს გაძლიერებულ აგზნებას, შფოთს და მუდმივი საფრთხის მოლოდინს. ძალადობა გამოვლილ ქალებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიყვებათ დაბალი თვითშეფასება, რაც აძლიერებს შესწავლილი უმწეობის გრძნობას. აღნიშნულ ფსიქოლოგიურ სირთულეებთან გასამკლავებელი სერვისების შესახებ კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია, მათ კი ვინც სახელმწიფოში არსებულ სერვისზეა ინფორმირებული აღნიშნულით სარგებლობაში შესახლოა ხელს უშლიდეს საზოგადოების სტიგმა ფსიქოლოგიური პროლემების მქონე ადამიანებთან და ზოგადად ფსიქოლოგიური დახმარების მიღებასთან დაკავშირებით.

---

[42] QvemoQartli.ge, "ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები – ამოცნობის და გამკლავების გზები", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://qvemoqartli.ge/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4/

როდესაც დამიკავშირდით და დაგთანხმდით ინტერვიუზე იმ ღამეს ვერ დავიძინე კარგა ხანს. ჩაძინების შემდეგ მესიზმრებოდა რაში მიწევდა ცხოვრება და ბოდიშს ვიხდი ახლა აღელვებული რომ ვარ. ზოგადად თავს თითქოს მშვიდად ვგრძნობ 3 წელი გავიდა, მაგრამ მალე ციხიდან გამოდის და ეს რომ მახსენდება ისევ შიში მიპყრობს. ბავშვის თანდასწრებით მესროლა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე მსხვერპლი

ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ზემოქმედება შეიძლება იყოს ღრმა და ხანგრძლივი, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერითა და ინტერვენციებით, ქალებს და გოგონებს შეუძლიათ დაიწყონ გამოჯანმრთელება და ძალადობისგან თავისუფლად ცხოვრება. გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის აუცილებელია უფასო ფსიქოლოგიური დახმარების, თერაპიის კურსების შეთავაზება. აღნიშნული პროგრამები მიზნად უნდა ისახავდეს მსხვერპლთა გაძლიერებას, ფსიქოგანათლებას ისეთ თემებზე, როგორიცაა ოჯახში ძალადობის დინამიკა, ტრავმის გავლენა და მათთან გამკლავება, კონფლიქტის მოგვარება, თავდაჯერებულობის ამაღლება და სტრესის მართვა. ქალების და გოგონებისთვის ძალადობის შემდეგ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროფესიული გაძლიერების პროგრამები თვითშეფასების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. გაძლიერების პროგრამები უნდა მოიცავდეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების დასახვაში დახმარებას, რომლებიც დაკავშირებულია ღირსეულ საცხოვრებელთან, დასაქმებასთან, განათლებასთან, ფინანსურ სტაბილურობასთან და პიროვნული ზრდის ხელშეწყობასთან.

ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიურ ეფექტებთან გამკლავება მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს მსხვერპლთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ფართო საზოგადოების დამოკიდებულებებისა და ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროებასთან დაკავშირებით სტიგმის შემცირებას, საზოგადოებაში თანაგრძნობის განვითარებას და მსხვერპლთა წახალისებას დამხმარე სერვისების ძიებისკენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული შეფასებები მიუთითებს, რომ გლობალურად ყოველი 3 ქალიდან ერთს (30%) განუცდია ფიზიკურ და/ან სექსუალურ ძალადობას ინტიმური პარტნიორის ან არაპარტნიორის მხრიდან. [43] ამავე კვლევაზე დაყრდნობით მსოფლიო მასშტაბით, 15-49 წლის ქალების თითქმის მესამედი (27%), რომლებიც ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, აღნიშნავენ, რომ ისინი განიცდიდნენ რაიმე სახის ფიზიკურ და/ან სექსუალურ ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში ყოველ მე-2 ქალს ცხოვრების განმავლობაში ძალადობის ერთი ფორმა მაინც გამოუცდია, ყოველი მე-4 ქალი ძალადობის მსხვერპლი უშუალოდ პარტნიორის მხრიდან გამხდარა, ფიზიკური ძალადობა ქალების 6%-ს, ხოლო სექსუალური ძალადობა ქალების 4%-ს გამოუცდია.[44]

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ ყველაზე ხშირად ფიზიკური ძალადობის სახით გამოიყენება ქალების და გოგონების ცემა. ფიზიკური შეურაცხყოფა, როგორც წესი, იწვევს სისხლჩაქცევებს, ჭრილობებს და სხვა ტრავმულ დაზიანებებს. რიგ შემთხვევებში გვხდება ფიზიკური ძალადობის ისეთი მძიმე შედეგები, როგორიცაა ძვლების მოტეხილობა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები. შეურაცხმყოფელ გარემოში ცხოვრების სტრესმა და ფიზიკურმა ტრავმამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი ქრონიკული დაავადებების განვითარებას, როგორიცაა ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. კვლევაში მონაწილეთა აზრით, სისტემატიური ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა უბიძგებს მსხვერპლს თვითდაზიანების ან/და თვითმკვლელობაზე ფიქრისკენ. ადეკვატური და დროული მხარდაჭერისა და ჩარევის გარეშე, ეს აზრები შეიძლება გადაიზარდოს ტრაგიკულ შედეგებში და ამის ფაქტები მონაწილეებს მრავლად ახსოვთ.

კვლევაში მონაწილეთა აზრით, გენდერული და ოჯახში ძალადობის ფიზიკური შედეგების მხრივ ყველაზე მძიმე ქალთა მკვლელობა ფემიციდია. მკვლელობის ეს მზაკვრული ფორმა, რომელსაც განპირობებულია მიზოგინიზმი, პატრიარქალური ნორმები და გენდერული უთანასწორობა, წარმოადგენს ქალთა უფლებების მძიმე დარღვევას. ფემიციდი საზრდოობს სოციალური ნორმებით, რომლებიც

[43] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, "Violence against Women", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women

[44] UN WOMEN საქართველო, "ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა: შედეგები და ტენდენციები", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/ka/stories/reportazhi/2023/12/kalta-mimart-dzaladobis-erovnuli-kvleva-shedegebi-da-tendentsiebi

ნორმალიზებენ და ამართლებენ ქალთა მიმართ ძალადობას. ფემიციდი, როგორც გენდერული ძალადობის შემზარავი გამოვლინება, რამაც მთელ მსოფლიოში უამრავი ქალის სიცოცხლე შეიწირა, სერიოზული გამოწვევაა საქართველოსთვისაც [45] . 2023 წელს 24 ქალის მკვლელობისა და 27 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი გამოვლინდა. [46] ფემიციდის შემთხვევები წინა წელთან შედარებით გაზრდილი იყო 2022 წელსაც.[47] ქალები ექვემდებარებიან სასტიკ თავდასხმებს, რაც იწვევს სასიკვდილო დაზიანებებს. უშუალო ფიზიკური ტრავმის გარდა, ფემიციდი აგრძელებს შიშისა და დაუცველობის განცდას ძალადობრივ გარემოში მყოფი ყველა ქალისთვის და ზღუდავს მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მსოფლიოში, სადაც ფიზიკური ძალადობა, ფემიციდი რჩება შემაშფოთებელ რეალობად მრავალი ადამიანისათვის, პრევენცია და შესაბამისი რეაგირება ასეთ ინციდენტებზე უმთავრესია. ინტერპერსონალური ურთიერთობების, თემების ან უფრო ფართო საზოგადოების დინამიკის კონტექსტში, პროაქტიულმა ზომებმა შეიძლება შეამციროს ძალადობის რისკი და უზრუნველყოს სწრაფი, ეფექტური ჩარევა, როდესაც როდესაც პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად ფაქტები მაინც დგება. ფიზიკური ძალადობის პრევენციის გადამწყვეტი ნაბიჯი არის ინდივიდების განათლება მისი შედეგების შესახებ და ჯანსაღი ურთიერთობებისა და კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო პროგრამებს, დაწყებული მცირე ასაკიდან, შეუძლია ხელი შეუწყოს თანაგრძნობას, არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ძალადობის მსხვერპლებთან შეხებაში მყოფი პროფესიონალების აღჭურვა ცოდნითა და უნარებით ძალადობის ამოცნობის, რეაგირებისა და პრევენციის მიზნით გადამწყვეტია კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად. ჯანდაცვის პროვაიდერების, პედაგოგების, სამართალდამცავების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების ტრენინგ პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ტრავმაზე ინფორმირებულ მიდგომებზე, კულტურულ სენსიტიურობას და

---

[45] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, "ქალთა მკვლელობის ბოლო შემთხვევები შემაშფოთებელია და სახელმწიფოსგან პრევენციული მუშაობის რადიკალურ გაძლიერებას საჭიროებს", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://socialjustice.org.ge/ka/products/kalta-mkvlelobis-bolo-shemtkhvevebi-shemashfotebelia-da-sakhelmtsifosgan-preventsiuli-mushaobis-radikalur-gadzlierebas-sachiroebs

[46] საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ანგარიში, "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ.15 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf

[47] საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ანგარიში, "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ.14, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

არასტაბილური სიტუაციების დეესკალაციის ტექნიკაზე პრევენციული ღონისძებების განუყოფელი ნაწილია.

გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მთავრობებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც ეფექტურად იცავს ინდივიდებს ძალადობისაგან და დამნაშავეებს აკისრებს შესაბამის პასუხისმგებლობას მათ ქმედებებზე. ეს მოიცავს საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მყოფ კანონებს ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ. ასევე ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, დამხმარე სერვისებსა და მსხვერპლთა თავშესაფრებს. განათლებაში, ადვოკატირებაში, პოლიტიკის რეფორმასა და საზოგადოების ჩართულობაში ინვესტიციებით, სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ძალადობა არ იქნება მიუღებელი და ინდივიდებს მიეცემათ საშუალება იცხოვრონ შიშისა და ტრამვების გარეშე.

სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

გენდერული და ოჯახში, ქალთა მიმართ ძალადობა არა მხოლოდ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევაა, არამედ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელიც. ძალადობის მსხვერპლებისთვის მიყენებული უშუალო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის გარდა, ძალადობის სხვადასხვა ფორმები ღრმა და ხანგრძლივ გავლენას ახდენს მსხვერპლთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ ზემოქმედების გაგება გადამწყვეტია ძალადობის უფრო ფართო შედეგების გასაცნობად, ეფექტური ინტერვენციების განსახორციელებლად და მისი ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად. გენდერული და ოჯახში ძალადობა კომპლექსურად კვეთს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, რაც ამძაფრებს არსებულ უთანასწორობას და აგრძელებს სიღარიბისა და მარგინალიზაციის ციკლებს. ქალები, რომლებიც განიცდიან ძალადობას, ხშირად ექვემდებარებიან ფინანსების განკარგვის შეზღუდვას, რესურსებზე შეზღუდულ წვდომას, დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდვას და ა.შ, ვინაიდან მოძალადე ახორციელებს კონტროლს ოჯახის ფინანსებზე. მსხვერპლთა ეკონომიკური შანტაჟი ემსახურება მსხვერპლთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შელახვას, მათ მუდმივად მოძლადეზე დამოკიდებულებასა და განგრძობადი დაუცველობის განცდის გამყარებას.

მოძალადეები ხშირად იყენებენ ფინანსურ კონტროლს, როგორც ტაქტიკას, რათა შეინარჩუნონ ძალაუფლება და კონტროლი თავიანთ მსხვერპლებზე. კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებით, ყველაზე ხშირად ეკონომიკური ძალადობა ხორციელდება ისეთი ფორმებით, როგორიცაა საბანკო ანგარიშებზე წვდომის შეზღუდვა, ხელფასების ჩამორთმევა, პირადი ჰიგიენის საშუალებების შეძენის შეზღუდვა, მსხვერპლისთვის სესხის აღების დავალდებულება, სამსახურის დაწყების აკრძალვა. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ თანაცხოვრების პერიოდში მოძალადეები, მაშინ როდესაც ვერ ახერხებდნენ მათ გადარწმუნებას არ ემუშავათ და მათი შრომა უფრო მნიშვნელოვანი ბავშვების აღზრდაში ან შინასამუშაოებში იყო, სისტემატიურად დაყვებოდნენ მსხვერპლებს სამსახურში, აწყობდნენ ეჭვიანობის სცენებს თანამშრომლებთან და დამსაქმებელთან, სირცხვილის და უხერხულობის გამო კი ბოლოს მსხვერპლები თავს ანებებდნენ მუშაობას და ტოვებდნენ დასაქმების ადგილს.

კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებით, რაც უფრო დიდხანს რჩება მსხვერპლი ეკონომიკურ დამოკიდებულებაში მით უფრო რთულია მსხვერპლისთვის ძალადობრვი გარემოსგან თავის დაღწევა. მოძალადისგან წამოსვლის შემდეგ კი ქალები კარგავენ მეტ ნაკლებად არსებულ ეკონომიკურ სტაბილურობას, კარგავენ სახლს და საცხოვრებელს. ძალადობა გამოვლილი, განსაკუთრებით ოჯახისგან მხარდაჭერის არ მქონე მსხვერპლებს უჭირთ ქირის, კომუნალური მომსახურების, გადაადგილების, კვების და პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენა.

ძალადობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური შედეგები მსხვერპლებს აუძლურებს და კეტავს, რაც ართულებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვას. მარტივი ამოცანები, როგორიცაა სახლის საქმეები, მეგობრებთან ურთიერთობა შეიძლება გადაულახავ დაბრკოლებად იქცეს მათთვის.

> ***როდესაც მივიღე გადაწყვეტილება, რომ უნდა დამესრულებინა მოძალადესთან ცხოვრება და სახლიდან წამოვედი მივედი დასთან. დის სახლში შესვლისთანავე თითქოს ყველაფრის უნარი დავკარგე. დღეებს საწოლში ვატარებდი, ბავშვისთვის საჭმელის გაკეთების თავიც არ მქონდა. მეგონა ვეღარასდროს ვერაფერს შევძლებდი და ყოფილა მომენტები, როდესაც სუიციდზეც მიფიქრია. რომ არა ჩემი დის და შემდგომ არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა არ ვიცი დღეს ცოცხალი ვიქნებოდი თუ არა.***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე ჟურნალისტი***

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ძალადობის შემდეგ უწევთ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდის გავლა. პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში მსხვერპლების ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა არ აძლევთ მათ არა თუ მუშაობის, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ გარესამყაროსთან კომუნიკაციის

უნარსაც კი. ძალადობა მსხვერპლზე მოკლევადიან უარყოფით ეფექტებთან ერთად მნიშვნელოვან გრძელვადიან გავლენას ახდენს. მსხვერპლებს ერთმევათ შესაძლებლობა დროის ხანგრძლივ პერიოდში იზრუნონ განათლების მიღებაზე, კარიერულ განვითარებაზე. მსხვერპლთა ეკონომიკურ საჭიროებებს ამ დროს სახელმწიფო ვერ ხედავს. არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ დონეზე სახელმწიფოს მსხვერპლთა გაძიელერბის, დასაქმების ეკონომიკური პროგრამები არ გააჩნია.

ძალადობრივი გარემოდან თავის დაღწევას დიდი გამბედაობა და ძალა სჭირდება, განსაკუთრებით ბავშვების მქონე ქალებისთვის. ძალადობის ციკლისგან თავის დაღწევის შემდომ, ქალები რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები კიდევ უფრო მეტად ხდებიან ეკონომიკური სიდუხჭირის მსხვერპლები. ძალადობა გამოვლილი არასრულწლოვანი ბავშვების დედებს, რომლებსაც არ ჰყავთ დამხმარე ბავშვების მოვლაში, იძულებული არიან თავად იზრუნონ ბავშვებზე და ერთმევათ მუშაობის და ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა. ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც საბავშვო ბაღის ან სკოლის გახანგრძლივებული პროგრამები ხელმისაწვდომია დასაქმებული მშობლებისთვის, ჩვენს ქვეყანაში მსგავსი საჯარო სერვისი სახელმწიფოს არ აქვს. ქალები, რომლებსაც უწევთ შვილები სკოლიდან და ბაღიდან წამოიყვანონ შუადღეს, ან მაქსიმუმ საღამოს 6 საათამდე, ძალიან იშვიათად, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ ვერ ახერხებენ დასაქმდნენ.

> ***იცით როგორ ვწვალობ ახლა?! რომ არა ბაღის პედაგოგების კეთილი ნება, რომლებიც გვიანობამდე იტოვებენ ჩემ შვილებს ბაღში, ვერ ვიმუშავებდი და იძულებული ვიქნებოდი ისევ მოძალადესთან მეცხოვრა. თავშესაფარში პროფესიულ გადამზადებაში დამეხმარნენ და დასაქმებული ვარ, მაგრამ იმდენი შემოსავალი ნამდვილად არ მაქვს დამხამრე ავიყვანო ბავშვებისთვის.***
>
> ***ფოკუს ჯგუფის მონაწილე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი***

ნახევარ განაკვეთიანი, ან/და მოქნილი სამუშაოს განრიგის ქონის გარეშე, ქალები, რომლებიც პოულობენ გამბედაობას თავი დააღწიონ ძალადობას, იძულებულნი არიან აირჩიონ შვილების ზედამხედველობის გარეშე დატოვება ან საერთოდ უარი თქვან სამუშაოზე. სტაბილური დასაქმების ხელმისაწვდომობის გარეშე, ქალები დაუცველნი არიან შემდგომი მოძალადესთან დაბრუნების და ძალადობისგან.

გენდერული და ოჯახში ძალადობის ეკონომიკური ზეგავლენა ცდება სამსახურის ვერ მოძიების ფარგლებს და მოიცავს ძალადობისგან დაზიანებული ჯანდაცვის ხარჯებს. მსხვერპლები ხშირად იღებენ მნიშვნელოვან ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სამედიცინო მკურნალობასთან, თერაპიასთან, იურიდიულ დახმარებასთან,

აღნიშნული საჭიროებების მიღებასთან დაკავშირებულ ტრანსპორტირების ხარჯებს. განსაკუთრებით მაღალმთიან დასახლებებში, ცენტრისგან მოშორებით, არ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი სერვისი, რაც მსხვერპლებს აიძულებს ეს სერვისები მოიძიოს რაიონულ ცენტრებში, ან/და დედაქალაქში. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არა მხოლოდ სერვისების არარსებობა, რეგიონისთვის მწვავე პრობლემაა ცენტრებამდე მიღწევაც ამ სერვისების მისაღებად.

> ***იკითხეთ აბა რამდენი სოფლიდან დადის ქალაქში ტრანსპორტი და ვისია ეს ტრანსპორტი?! საზოგადოებრივი თითქმის არსად არაა, კერძო პირებისაა. ეს ფოკუს ჯგუფიც გვიან რომ ჩაგვენიშნათ ვერ მოვახერხებდი დასწრებას, იმიტომ რომ აქედან მარშუტკა ბოლო 5 საათზე გადის.***
>
> ***ფოკუს ჯგუფის მონაწილე ამბროლაურის მუნიციპალიტეტი***

კვლევაში მონაწილეთა განცხადებით, სოფლებიდან ცენტრებამდე ტრანსპორტირება ხორციელდება კერძო პირების ტრანსპორტით, რაც არც რეგულარულია და ასევე დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ხარჯთან. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია, რომ კანონმდებლობით ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს აქვთ უფლება მოითხოვონ კომპანესაცია მოძალადისგან ან/და სახელმწიფოსგან.

გენდერული და ოჯახში ძალადობის სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების მოსაგვარებლად საჭიროა ყოვლისმომცველი სტრატეგიები, რომლებიც ასახავს მხვერპლთა უშუალო საჭიროებებს. ეს მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივებს, როგორიცაა მსხვერპლთა ფინანსური დახმარების, საბინაო საკითხების გადაწყვეტის, გადამზადებისა და დასაქმების, არასრულწლოვნებზე ზრუნვის პროგრამები როგორც ცენტრალიზებულად, ასევე ადგილობრივად მუნიციპალიტეტებში. სახელმწიფო დონეზე, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის მიერ ინვესტირება უნდა მოხდეს პროგრამებში, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. აღნიშნული პროგრამები უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევაზე დაფუძნებულ, შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში ქალთა გადამზადებას, გადამზადებული და ზოგადად მსხვერპლ ქალებში მცირე მეწარმეობის მხარდაჭერას და მიკროსაფინანსო შესაძლებლობებზე წვდომას. ასევე, სახელმწიფოში უკვე არსებულ სერვისებზე ინფორმაციის ფარტო გავრცელებას, განსაკუთრებით რეგიონებში.

მსხვერპლთა ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობა მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს კანონმდებლობით. მოქმედი კანონმდებლობა

განსაზღვრავს, რომ თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში მსხვერპლს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე.[48] თუმცა კანონმდებლობით მხოლოდ საუშაო ადგილის ფორმალურად შენარჩუნება, მსხვერპლის ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენს. აუცილებელია სახელმწიფომ განსაზღვროს არა მხოლოდ სამუშაო ადგილის შენარჩუნება არამდენ იმ ანაზღაურებისაც რაც მსხვერპლს დაკავებულ თანამდებობაზე ჰქონდა. სახელმწიფომ უნდა წაახალისეთ დამსაქმებლები, განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს გენდერულ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს, როგორიცაა მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზება, თანამშრომლების დახმარების პროგრამები.

მთავრობამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ბავშვზე ზრუნვის სერვისების გაფართოებას, მათ შორის საბავშვო ბაღებისა და სასკოლო პროგრამების გაფართოებას, რათა დააკმაყოფილოს ძალადობის მსხვერპლი, მომუშავე მშობლების საჭიროებები. ბავშვებზე ზრუნვის სერვისები საშუალებას მისცემს დედებს ისარგებლონ დასაქმების შესაძლებლობებით შვილების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე კომპრომისის გარეშე. ეს ხელს შეუწყობს მსხვერპლების ფინანსური სტრესის შემსუბუქებას და საშუალებას მისცემს მათ ფოკუსირება მოახდინონ სრულ რეაბილიტაციაზე, ეკონომიკურ გაძლიერებაზე, კარიერის დაგეგმვასა და განვიტარებაზე.

გენდერული და ოჯახში ძალადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსხვერპლთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აგრძელებს სიღარიბის, მარგინალიზაციისა და ეკონომიკური დამოკიდებულების ციკლებს. ამ ზემოქმედების აღიარება და მისი მოგვარება მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივებს სამართლებრივ, პოლიტიკასა და სისტემურ რეფორმებთან. მსხვერპლთათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის და სტრუქტურული უთანასწორობის აღმოფხვრით, რომელიც არის ძალადობის როგორც განმაპირობებელი, ასევე შედეგი, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ მსხვერპლთა საჭიროებებზე ორიენტირებული სახელმიწფო.

[48] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 18, პ.5, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=24

ოჯახური ძალადობა განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ძლადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებს, მიუხედავად იმისა ისინი ძალადობის პირდაპირი მსხვერპლები არიან თუ ირიბი[49], აგრძელებს ტრავმებისა და ძალადობის ციკლებს. ბავშვები, რომლებიც მოწმენი არიან ან განიცდიან ოჯახში ძალადობას, განიცდიან ღრმა ზემოქმედებას და განიცდიან უამრავ ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს, რომლებიც შეიძლება გაგრძელდეს ზრდასრულ ასაკში. ოჯახში ძალადობის თაობათაშორისი ზემოქმედებისა და არასრულწლოვანებზე მისი ზემოქმედების გააზრება გადამწყვეტია ძალადობის ციკლის გასაწყვეტად და მომავალი თაობების კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის. ბავშვები, რომლებიც სახლში ძალადობის მოწმეები არიან, შეიძლება განიცადონ მთელი რიგი ემოციური რეაქციები, მათ შიშები, საკუთარი უმწეობის და არასრულფასოვნების განცდა და სხვა. არასრულწლოვნებს ასევე შეიძლება გამოუვლინდეთ ქცევითი პრობლემები, როგორიცაა აგრესია, ან პირიქით ჩაკეტილობა, სკოლაში კონცენტრაციის სირთულე. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის ზემოქმედება როგორც ზრდასრულებში, ბავშვებშიც ზრდის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების რისკს, მათ შორის დეპრესიას, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის რისკს. ცნობილია, რომ უფროსებში გამოვლენილი მრავალი დაავადება – გულის იშემიური დაავადებები, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების ქრონიკული დაავადებები, სიმსივნე და სხვა – ბავშვობაში გადატანილ ძალადობასთანაა დაკავშირებული.[50]

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ოჯახური ძალადობა ხშირად მოქმედებს ციკლის ფარგლებში, რომელიც მოიცავს თაობებს, ძალადობრივი ქცევა მეორდება და გრძელდება დროთა განმავლობაში. ეს ციკლი გრძელდება ძალადობის ნორმალიზებით, დარღვეული მიჯაჭვულობის კავშირებით და სწავლული ქცევებით, რომლებიც გადაეცემა ერთი თაობიდან მეორეს.

[49] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, “ ბავშვთა მიმართ ძალადობა- საჭიროებების კვლევა”, 2018, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://gyla.ge/files/banners/კვლევა%20ბავშვის%20მიმართ%20ძალადობა.pdf

[50] საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, “დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან” 2015, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://phf.org.ge/wp-content/uploads/2024/06/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90%E1%83%97_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C.pdf

მთელი ბავშვბა ძალადობაში გავიზარდე დედის მხრიდან. როდესაც პატარა ვიყავი მახსოვს მამა და ბებო დედაზე ძალადობდნენ, დედა ჩვენზე, და–ძმებზე ძალადობდა, შემდეგ როდესაც ბებო მოხუცდა მასზეც ძალადობდა. ვიცი მამაც ძალადობის მსხვერპლია. მე აღარ მინდოდა გამეგრძელებინა ეს ჯაჭვი და შვილთან ერთად 21 წლის გოგო ჯერ თავშესაფარში წავედი, ახლა ქირით ვცხოვრობ.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე მსხვერპლი

ძალადობის ნორმალიზება ოჯახურ დინამიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძალადობის ციკლის გახანგრძლივებაში. ამ ნორმალიზებამ შეიძლება მოახდინოს მათი მგრძნობელობა ძალადობის სიმძიმის მიმართ და გაზარდოს იმის ალბათობა, რომ ისინი ან თავად გახდებიან მოძალადეები, ან მოითმენენ ძალადობას საკუთარ ურთიერთობებში[51]. ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ძალადობრივ ოჯახებში, უფრო მეტად ხდებიან მოძალადეები ან ძალადობის მსხვერპლნი საკუთარ ზრდასრულ ურთიერთობებში. ბავშვობაში შეძენილი ქცევები ღრმად ილექება და ძნელად დასაძლევია. ბავშვები რომლებიც გაუცნობიერებლად იღებენ მშობლების ქცევის ნიმუშებს, გადააქვთ ისინი, შემდეგ კი ჩარევისა და მხარდაჭერის გარეშე, ამ ნასწავლი ქცევებისგან თავის დაღწევა დიდი გამოწვევაა.

ოჯახური ძალადობა სცილდება მსხვერპლსთვის მიყენებულ უშუალო ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს. ყველაზე დაუცველ მსხვერპლთა შორის ბავშვები, რომლებიც ან უშუალოდ ძალადობის სამიზნეები არიან, ან ძალადობის შემსწრენი დგანან ღრმად შემაშფოთებელი, ბავშვების განათლებასა და სამომავლო პერსპექტივაზე უარყოფითი გავლენის წინაშე. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, ბავშვებს, რომლებიც არიან ოჯახში ძლადობის უშუალო მსხვერპლები ან/და ოჯახში ძალადობის შემსწრეები, ხშირად აქვთ სწავლაში ჩამორჩენა, მათ შორის ხშირია გაკვეთილების გაცდენა, საგაკვეთილო პროცესისგან სრულიად გარიყვა, მახსოვრობის პრობლემები. მუდმივმა სტრესმა და შფოთვამ, რომელიც დაკავშირებულია მოძალადე გარემოში ცხოვრებასთან, შეიძლება შეაფერხოს კოგნიტური ფუნქციონირება, რაც ურთულებს ამ ბავშვებს ინფორმაციის შენარჩუნებას, ინსტრუქციების შესრულებას ან ამოცანებზე ფოკუსირებას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნებისთვის რთულია არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესზე ორიენტირება და აქტივობებში მონაწილეობა, არამედ მათ უჭირთ ურთიერთობების დამყარება მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან. ეს გათიშვა გავლენას ახდენს როგორც მათ აკადემიურ მოსწრებაზე, ასევე იზოლირებს

[51] UN WOMEN, "ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში", გვ. 111, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

მათ სასკოლო გარემოში მხარდაჭერისა და წახალისების მნიშვნელოვანი წყაროებისგან. აღნიშნული სირთულეები სწავლის პროცესში აფერხებს მათი აკადემიურ მოსწრებას და უზღუდავს ბავშვებს სამომავლო შესაძლებლობებას, უმაღლესი განათლების ან/და კარიერული წინსვლისთვის.

ოჯახში ძალადობის თაობათაშორისი ციკლის გასარღვევად და არასრულწლოვანებზე მისი ზემოქმედების შესამცირებლად საჭიროა ყოვლისმომცველი ინტერვენციები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც ძალადობის მსხვერპლი ბავშვების უშუალო საჭიროებების კვლევას, ბავშვებზე ოჯახში ძალადობის მავნე შედეგების ანალიზს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მიმართ ადეკვატური სახელმწიფო სერვისების, ადრეული ინტერვენციისა და პრევენციის პროგრამების დანეგვას. ოჯახში ძალადობის მოწმე ბავშვებზე ძალადობის გვავლენის სიღრმისეულ კვლევას მოუწოდებს საქართველოს მიმართ 2023 წელს გამოცემულ საბოლოო ანგარიშში გრევიო.[52] სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოები ბავშვების ოჯახში ძალადობისგან დასაცავად და მათი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია შემუშავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციის პროგრამები, რომლებიც მიზნად დაისახავს ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და ოჯახების იდენტიფიცირებას და ოჯახში ძალადობის დაძლევის პოზიტიური უნარების სწავლას.

ოჯახური ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება მოითხოვს მრავალი დაინტერესებული მხარის, მათ შორის მასწავლებლების, პოლიტიკის შემქმნელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას. სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვების იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერაში, უზრუნველყოფენ უსაფრთხო და აღმზრდელ გარემოს, სადაც მათ შეუძლიათ წარმატებულნი იყვნენ აკადემიურად და ემოციურად. მასწავლებლებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება აუცილებელია ოჯახში ძალადობის ნიშნების ამოცნობისა და დაზარალებული ბავშვების საჭიროებებზე ეფექტური რეაგირებისთვის. ეს მოიცავს ტრავმის შესახებ ინფორმირებული პრაქტიკის განხორციელებას, დამხმარე სისტემების ჩამოყალიბებას სკოლამდელი და სკოლის საზოგადოებაში, ფსიქოლოგის ხელმისაწვდომობას ბავშვებისთვის. აღმზრდელებს, მასწავლებლებს, სოციალურ სამსახურებსა და თემაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ

[52] გრევიო, "Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) GEORGIA", პარ. 87, გვ. 29, 2022, ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების კომპლექსურ საჭიროებებზე კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ოჯახში ძალადობის ბავშვებზე გავლენის შესახებ მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც მოიცავს ძალადობის პრევენციის სტრატეგიების განხორციელებას, ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობას და ძალადობით დაზარალებული ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერას. მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის, ასევე განათლებისა და პრევენციის პროგრამების განხორციელება, რომლებიც მიმართულია ძალადობის ციკლის გაწყვეტის ხელშეწყობისკენ აუცილებელია მომავალი თაობებისთვის უფრო უსაფრთხო და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობათა გადანაწილებით შეუძლია სახელმიწიფო ებრძოლოს ამ მდუმარე კრიზისს და შექმნას ისეთი გარემო, სადაც ძალადობა აღარ იქნება მოთმენილი და/ან ნორმალიზებული.

მოძალადეთა ქცევის კორექციის ეფექტი

ძალადობა, მისი სხვადასხვა ფორმით, რჩება გავრცელებულ საკითხად მთელ მსოფლიოში. იქნება ეს ოჯახში ძალადობა, გენდერული ძალადობა თუ აგრესიის სხვა ფორმები, შედეგები დამანგრეველია, როგორც მსხვერპლებისთვის, ასევე მოძალადეებისთვის. ჩარევისა და რეაბილიტაციის აუცილებლობის აღიარებით, ბევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსს[53], როგორც მოძალადეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილს. თუმცა, პასუხსისმგებლობის ამ სახის მნიშვნელობა სცილდება კანონიერი მოთხოვნის შესრულებას. ის გადამწყვეტ როლს ასრულებენ ძალადობის ძირეული მიზეზების აღმოფხვრაში და ქცევის ცვლილების ხელშეწყობაში. ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ელემენტებია, რომლებიც, სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიების ნაწილი უნდა იყოს. ოჯახში ძალადობის ძალადობის ჩამდენ კაცებთან მუშაობა ხელს შეუწყობს კულტურული და პოლიტიკური ცვლილების პროცესს, რომელიც მიმართულია გენდერული იერარქიის, გენდერული ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის, ასევე, პერსონალური და

[53] ResaerchGate, " Work with Perpetrators of Domestic Violence in Eastern European and Baltic countries", gv. 35, 2015, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.researchgate.net/publication/280934295_Work_with_Perpetrators_of_Domestic_Violence_in_Eastern_European_and_Baltic_countries

სტრუქტურული ძალადობისა და დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრისაკენ.[54] ძალადობრივი ქცევის ცვლილებისთვის განკუთვნილი პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოძალადეთა შეხედულების შეცვლაში, რომ ქალმა უნდა მოითმინოს, გაამართლოს ან თვალი დახუჭოს მის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობაზე.

> ***მრჩება შთაბეჭდილება, რომ მოძალადეს სახელმწიფო მიზანმიმართულად არ ხედავს. არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ დონეზე მე არ გამიგია მოძალადეებთან ვინმე მუშაობდეს, ვინმე უხსნიდეს რას ჩადიან და რა ტრამვას აყენებენ მსხვერპლს.***
>
> ***ფოკუს ჯგუფის მონაწილე***

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მოძალადე შეიძლება სრულად იაზრებდეს მათ ქმედებებს და შეგნებულად მანიპულირებდეს მსხვერპლით, არის შემთხვევები და ეს შემთხვევები არც ისე ცოტაა, როდესაც მოძალადეებს არ აქვთ გაცნობიერებული მათი ქმედებები, ამ ქმედებების გავლენა მსხვერპლებზე და მიზეზები რის გამოც ისინი მუდმივად ავლენდნენ აგრესიას ოჯახის წევრების მიმართ და ძალადობდნენ. ამ არაცნობიერი ციკლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია აღზრდის როლი და წარსული გამოცდილება. ბევრი მოძალადე თავად არის ძალადობის მსხვერპლი, იქნება ეს ფიზიკური, ემოციური თუ ფსიქოლოგიური. ასეთ გარემოში ზრდამ იწვევს შეურაცხმყოფელი ქცევის ნორმალიზებას და ქმნის დამახინჯებულ აღქმას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჯანსაღი ურთიერთობა, რა უარყოფითი გავლენა აქვს ძალადობას მთლიანად ოჯახზე.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში სტამბოლის კონვენცია) ითვალისწინებს სახელმიწფოს ვალდებულებას ჰქონდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები და სამკურნალო პროგრამები ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის.[55] კონვენცია მონაწილე მხარეებს ავალდებულებს ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებს ასწავლოს არაძალადაობრივი ქცევა პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, უზრუნველყოს მომავალი ძალადობების პრევენცია დაძალადობრივი ქცევისფორმების შეცვლაში დახმარება. სტამბოლის კონვენციის

---

[54] ევროპის საბჭო, "პროგრამები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი", გვ. 5, 2014, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/-16-/16808d24c3, გვ.5

[55] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 16, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

რატიფიცრების და აღნიშული პასუხისმგებლობის აღების შემდეგ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით სახელმწიფომ შეიმუშავა სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც ბენეფიციარებთან ჯგუფურ ან ინდივიდუალურ თერაპიულ მუშაობას გულისხმობდა.[56] მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საპატიმრო სასჯელის მოხდის, ასევე პრობაციის დროს.[57] კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას არანაირი ინფორმაცია ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსის შესახებ არ აქვს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ძალადობის მხვერპლების მეუღლეებიდან/პარტნიორებიდა არც ერთი ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა.

> ***მოძალადეთა ქვეცი კორექციის კურსზე არ მსმენია, მაგრამ ეჭვი მეპარება უბრალოდ ვინმე მაგის გავლას დათანხმდეს. სახელმწიფომ მოძალადე უნდა დააინტერეოსოს, წაახალისოს რომ მას ინტერესი, სურვილი გაუჩნდეს ჩაერთოს აღნიშნულ კურსში.***
>
> ***ფოკუს ჯგუფის მონაწილე***

ძალადობრივი ქცევის შეცვლა უმნიშვნელოვანესია ოჯახში ძალადობის ციკლის გასარღვევად რამდენიმე კრიტიკული მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, ძალადობრივი ქცევის განხილვა აუცილებელია მსხვერპლთა და გადარჩენილთა უსაფრთხოების. ძალადობრივი ქცევის შეცვლა გადამწყვეტია ძალადობის ციკლის დასარღვევად, რომელიც აგრძელებს თაობათაშორის ტრავმას. ბავშვები, რომლებიც მოწმენი არიან ან განიცდიან ოჯახურ ძალადობას, უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, რომ ეს ქცევები განაგრძონ საკუთარ ურთიერთობებში შემდგომ ცხოვრებაში. ძალადობის ციკლის შეწყვეტით და მოძალადეებისთვის საჭირო მხარდაჭერისა და რესურსების მიწოდებით, ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ძალადობის გადაცემა მომავალ თაობებზე.

ძალადობრივი ქცევის კურსები ამაღლებს ცნობიერებას ძალადობის შედეგების შესახებ, ეხმარება ინდივიდებს გააცნობიერონ მათ მიერ მიყენებული ზიანი და ძალადობრივი ქცევის ცვლილებების საჭიროება. ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობრივ ქცევის ცვლილებას, გადამწყვეტია რეაბილიტაციისთვის.[58] ეს კურსები ხშირად მოიცავს

---

[56] UN WOMEN, “ ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა შემუშავდა”, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/04/gbv-perpetrators-rehabilitation-programme-launched-in-georgia

[57] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, “ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში”, 2022, გვ. 145, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

[58] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 16, გვ. 10, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

თერაპიულ სესიებს, რომლებიც ხელს უწყობენ მონაწილეებს გაანალიზონ თავიანთი წარსული გამოცდილება, მართონ თავიანთი ემოციები და განავითარონ სხვებთან ურთიერთობის უფრო ჯანსაღი გზები. მსხვერპლთათვის მიყენებული ტკივილისა და ტანჯვის გაგებით, ინდივიდები უფრო მეტად იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ ქმედებებზე.

ძალადობრივი ქცევა ხშირად გამოწვეულია ეფექტური კომუნიკაციისა და კონფლიქტების მოგვარების უნარების ნაკლებობით. როლური სავარჯიშოების, ჯგუფური დისკუსიებისა და პრაქტიკული აქტივობების საშუალებით მონაწილეები სწავლობენ როგორ გამოხატონ თავი თავდაჯერებულად, მართონ ბრაზი კონსტრუქციულად და მოაგვარონ კონფლიქტები მშვიდობიანად.[59] ძალადობის ძირეული მიზეზების მოგვარებით და ინდივიდებისთვის საჭირო მხარდაჭერით, რათა შეცვალონ თავიანთი ქცევა, ძალადობრივი ქცევის კურსები ხელს უწყობს საერთო საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, როდესაც მოძალადეები რეაბილიტაციას და საზოგადოებაში რეინტეგრაციას ახდენენ, როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები. დღეს არსებული მდგომარეობით, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ რაც შეიძლება სწრაფად განსაზღვროს უწყება, რომელიც აიღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს და დანერგოს დამცავი ორდერის ფარგლებში მოძალადეთა ქცევის კორექციის კურსის გასავლელად შესაბამისი პროგრამები. მოხდეს უკვე არსებული ქცევის კორექციის კურსის ფართო ანალიზი. ფართო ანალიზი გულისხმობს, აღნიშნულ ქცევის კორექციაში მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებლების, ქცევის კორექციის კურსის ეფექტურობის, კურსის ბენეფიციართა მხრიდან რეციდივის შემთხვევების, პროგრამაში ჩართვის ბარიერების, პროგრამაში ჩასართავად წახალისების სათანადო ზომების კვლევას. სახელმწიფომ უნდა დანერგოს მოძალადეთა ძალადობრივი ქცევის კურსის მონიტორინგისა და მოძალადეთა მხარდაჭერის სისტემა, რათა თვალყური ადევნოთ დამნაშავეთა პროგრესს პროგრამების დროს და დასრულების შემდეგ. უზრუნველყოს მუდმივი მხარდაჭერა და რესურსები, რათა დაეხმაროს ინდივიდებს პოზიტიური ცვლილებების შენარჩუნებაში და რეციდივის თავიდან აცილებაში. ამ ზომების განხორციელებით, ხელისუფლებას შეუძლია შექმნას უფრო მხარდამჭერი და წახალისებული გარემო მოძალადეთათვის, მონაწილეობა მიიღონ გამოსასწორებელ პროგრამებში, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს რეაბილიტაციას და ამცირებს დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელს. ამ ღონისძიებების განხორციელება აუცილებელი ნაბიჯია ოჯახში ძალადობის ციკლის გასარღვევად.

---

[59] WWP EN, "European Standards for Perpetrator Programmes Standards for Survivor-Safety-Oriented Intimate Partner Violence Perpetrator Programmes", გვ. 21, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/wwp/What_you_can_do/Ensure_the_quality_of_your_perpetrator_programme/European_Standards_for_Perpetrator_Programmes/European_Standards_for_Perpetrator_Programmes_website.pdf

ძალადობრივი ქცევის კურსები უფრო მეტს წარმოადგენს, ვიდრე უბრალოდ კანონიერი მოთხოვნა მოძალადეებისთვის. ძალადობრივი ქცევის შეცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც მოძალადეების, ასევე მსხვერპლის განკურნებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობისთვის. ბევრ ადამიანს, რომელიც ეწევა შეურაცხმყოფელ ქცევას, თავად განიცადა ტრავმა ან ძალადობა წარსულში. მათი ქცევის ძირეული მიზეზების მოგვარებით და თერაპიისა და დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობით, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მოძალადეებს განიკურნონ საკუთარი ჭრილობები და გათავისუფლდნენ ძალადობის ციკლისგან.

აგრესიის ძირეული მიზეზების მოგვარებით, განათლებისა და თერაპიის მიწოდებით და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით, ეს კურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეაბილიტაციის ხელშეწყობაში და რეციდივის შემცირებაში. საბოლოო ჯამში, ისინი ძალადობისაგან თავისუფალი მომავლის იმედს სთავაზობენ როგორც მოძალადეებს, ასევე მათ პოტენციურ მსხვერპლს. ძალადობრივი ქცევის შეცვლა აუცილებელია ჯანსაღი, პატივისცემის მქონე ურთიერთობების გასაძლიერებლად, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთნდობასა და თანხმობაზე.

ინტერვენციისა და მხარდაჭერის სერვისები

ოჯახური და გენდერული ძალადობის პირობებში, ინტერვენცია და დამხმარე სერვისები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მსხვერპლთა უსაფრთხოების, გაძლიერებისა და უფლებების აღდგენის უზრუნველყოფაში. ინტერვენციისა და დამხმარე სერვისები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ძალადობის ციკლის გაწყვეტაში და მისი თაობათაშორისი გადაცემის პრევენციაში. ინტერვენციისა და დამხმარე სერვისები ემსახურება მსხვერპლს, რომელიც გაურბის შეურაცხმყოფელ სიტუაციებს. გადაუდებელი ცხელი ხაზის, უფასო იურიდიული დახმარების, თავშესაფრების სერვისები უზრუნველყოფენ დაუყოვნებლივ უსაფრთხოებას და დაცვას გარდაუვალი საფრთხის წინაშე მყოფი პირებისთვის. უსაფრთხო თავშესაფრისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეთავაზებით, მსხვერპლებს შეუძლიათ დაიწყონ მზადება საკუთარი ავტონომიის აღდგენისა და შიშისა და ზიანისგან თავისუფლად ცხოვრების აღდგენისკენ.

გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობა მსხვერპლთა მხარდაჭერის კრიტიკულ საყრდენს წარმოადგენს. ეს უსაფრთხო თავშესაფრები გვთავაზობენ არა მხოლოდ ფიზიკურ დაცვას, ისინი

უზრუნველყოფენ თავშესაფარს, რესურსებს და გამოჯანმრთელების გზას მათთვის, ვინც გაურბის შეურაცხმყოფელ სიტუაციებს. თავშესაფრების მნიშვნელობა არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს საზოგადოებაში, რომელიც ისწრაფვის სამართლიანობის, თანასწორობისა და ძალადობის აღმოფხვრისკენ. გენდერული და ოჯახში ძალადობა მოიცავს შეურაცხმყოფელი ქცევების სპექტრს, დაწყებული ფიზიკური და სექსუალური ძალადობიდან, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ მანიპულაციამდე. მსხვერპლები ხშირად აღმოჩნდებიან შეურაცხყოფის ციკლის ხაფანგში, ექმნებათ ბარიერები დახმარების ძიებისას შიშის, სირცხვილის ან რესურსების ნაკლებობის გამო. თავშესაფრები ასრულებენ სამაშველო რგოლის ფუნქციას იმ პირებისთვის, რომლებიც გათავისუფლდებიან ამ ციკლებისგან, სთავაზობენ დაუყოვნებლივ უსაფრთხო სივრცეს მსხვერპლებს და დახმარებას, როდესაც მათ ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

თავშესაფრების შეუცვლელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მათი უსაფრთხოება. გენდერული და ოჯახში ძალადობის მრავალი მსხვერპლი ცხოვრობს მუდმივ შიშში საკუთარი და შვილების სიცოცხლისთვის. თავშესაფრები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს, სადაც მათ შეუძლიათ გაექცნენ შემდგომი ზიანის საფრთხეს და დაიწყონ თავიანთი ცხოვრების აღდგენა მათი მოძალადეების შურისძიების შიშის გარეშე. ეს ფიზიკური უსაფრთხოება ფუნდამენტურია სამკურნალო პროცესისთვის და აძლევს მსხვერპლებს შესაძლებლობას გადადგას ნაბიჯები დამოუკიდებლობისა და თვითკმარობისკენ. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, თავშესაფრები უნდა სთავაზობდნენ მსხვერპლებს ყოვლისმომცველ დამხმარე სერვისებს, რომლებიც მორგებულია თითოეული გადარჩენილის უნიკალურ საჭიროებებზე. ეს სერვისები შეიძლება მოიცავდეს კონსულტაციას, იურიდიულ ადვოკატირებას, ბავშვზე ზრუნვას, ტრენინგს და საბინაო დახმარებას. მრავალმხრივი გამოწვევების გადაჭრით, რომლებსაც მსხვერპლები აწყდებიან, თავშესაფრებმა ინდივიდები უნდა აღჭურვონ ინსტრუმენტებითა და რესურსებით, რომლებიც აუცილებელია მათი ავტონომიის აღდგენისა და მათი ცხოვრების აღდგენისთვის.

თავშესაფრები და უსაფრთხო ადგილები ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელსაც აწყდებიან გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები. თავშესაფრები გადამწყვეტია გადარჩენილთათვის, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ შეურაცხმყოფელ სიტუაციებს. თუმცა, ბევრ რეგიონში თავშესაფრები ხელმისაწვდომი არ არის, რაც მსხვერპლებს დაუყოვნებელი უსაფრთხოების შესაძლებლობების გარეშე ტოვებს. იმ რეგიონში, სადაც თავშესაფრები ხელმისაწვდომია, კვლევაში მონაწილეთა აზრით მუდმივად ადგილების მწვავე დეფიციტია. ეს დეფიციტი ბევრ ადამიანს აბრკოლებს დატოვოს მოძალადის სახლი, ვინაიდან მსხვრპლს ხანგრძლივი მოლოდინის დრო და ემოციური რესურსი არ აქვს.

ძალიან ბევრი მსხვერპლი ვიცი, მაგრამ რომ წავახალისო გააცხადოს პოლიციაში, მერე რით დავეხმარო იმ ქალს? რა ვუთხრა სად უნდა წავიდეს? არ არის არანაირი შესაბამისი სერვისი ჩვენ რაიონში, და მგონი არც ქვეყანაში ზოგადად.

რა სერვისებზე ვლაპარაკოთ ცაგერში მოსამართლეც კი არ გვყავს უკვე რამდენი ხანია.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ცაგერის მუნიციპალიტეტი

რა სევრისი აქვს სახელმწიფოს ძალადობის მსხვერპლისთვის? არ ვიცით ჩვენ, თქვენ თუ მოგვაწვდით ინფორმაციას

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

მაშინ კი, როდესაც მსხვერპლებს შეუძლიათ თავშესაფრებში განთავსება, ისინი ხშირად უზრუნველყოფილნი არიან დროებით საცხოვრებელით და სახელმწიფო მათ ვერ უზრუნველყოფს პრობლემის გრძელვადიანად მოგვარებით. გარდამავალი საცხოვრებლის, ფინანსური დახმარების ან სამუშაო ტრენინგის ადეკვატური რესურსების გარეშე, მსხვერპლებს თავშესაფრის დატოვების შემდეგ მატერიალური მოწყვლადობიდან გამომდინარე უწევთ შეურაცხმყოფელ, ძალადობრივ გარემოში მოძალადესთან დაბრუნება.

ვიცით მსხვარპლთა თავშესაფარზე, მაგრამ როცა არ უნდა დარეკო სულ გადატვირთულია ყველგან. ადგილს ბოლოს მაინც გამოგინახავენ, მაგრამ შეიძლება სახლიდან იმდენად შორს იყოს, ბავშვებს ვერ მოწვეთ მიჩვეულ გარემოს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ჭიათურის მუნიციპალიტეტი

თავშესაფრიდან იცით რამდენი ქალი ბრუნდება მოძალადესთან?! მე თავშესაფარში გადამზადება გავიარე, მაგრამ სახელმწიფომ გამაძლიერა და იქიდან მყარად გამოვედიო ვერ ვიტყვი. დღემდე ვწვალობ პატარა ბავშვით, რომ არ დავუშვა ჩემი შვილი ისევ იმ გარემოში დაბრუნდეს. სიმართლე რომ ვთქვა მეც მიფიქრია თავიდან მაგაზე.

ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი

თავშესაფრებსა და უსაფრთხო ადგილებზე შეზღუდული წვდომის გამოწვევის აღმოფხვრა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს თავშესაფრის სერვისების დაფინანსებისა და რესურსების გაზრდას, მომსახურების მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას და გადარჩენაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებას, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ მსხვერპლის უსაფრთხოებას, ღირსებას და დამოუკიდებლობის ხელშეწყობას, გაძლიერებას. სამთავრობო უწყებებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა შორის თანამშრომლობა აუცილებელია ამ სისტემური ბარიერების მოსაგვარებლად და უზრუნველსაყოფად, რომ ყველა გადარჩენილს ჰქონდეთ წვდომა იმ მხარდაჭერაზე, რომელიც მათ ესაჭიროებათ ძალადობისგან თავის დასაღწევად და მათი ცხოვრების აღსადგენად.

> ***არ ვიცი რა ხდება თავშესაფრებში, ვინაიდან წვდომა არ გვაქვს შევამოწმოთ სერვისების პრაქტიკული ადეკვატურობა, მაგრამ ჩვენი ბენეფიციარების უმრავლესობა უკმაყოფილოა იქ არსებული სერვისებით, საცხოვრებელი გარემოთი, დასაქმების შემთხვევაში დედებისთვის ხელშეწყობის და სხვა მრავალი მიმართულებით***
>
> ***ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი იურისტი***

გენდერული ძალადობის გადარჩენილები ხშირად განიცდიან ტრავმას, შფოთვას, დეპრესიას და სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევებს მათი გამოცდილების შედეგად. საკონსულტაციო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა აუცილებელია გადარჩენილებისთვის, რათა გადაამუშავონ ტრავმა, აღადგინონ თვითშეფასება და განავითარონ გამოჯანმრთელების სტრატეგიები. თუმცა, ასეთი მომსახურება თავშესაფრებში არის მწირი ან მიუწვდომელი მსხვერპლისთვის.

იურიდიულ სისტემაში ნავიგაცია განსაკუთრებულად რთულია გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის. უფასო იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია იმისთვის, რომ სიღრმისეულად გაიგონ თავიანთი უფლებები, გამოიძიონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მოიძიონ სამართალი დამნაშავეების წინააღმდეგ. თუმცა, ბევრ რეგიონში ასეთი სერვისები შეზღუდულია ან მიუწვდომელია.

თავშესაფარში მხოლოდ ერთი იურისტია, ასევეა ფსიქოლოგზეც როგორ შეიძლება მათი მომსახურება შეესაბამებოდეს მსხვერპლის საჭიროებებს?!

ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი

სანამ შენი უფლებების შესახებ სრულად მიიღებ კონსულტაციას და დაიწყებ დავას, ის მთელ ქონებას აფორმებს სხვაზე, რომ მსხვერპლი ღია ცის ქვეშ დარჩეს.

ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი მსხვერპლი

თუ იპოვე იურისტი და ვთქვათ დააკისრე ალიმენტი მოძალადე მამას, გგონიათ იხდიან?! ალიმენტის გადახდევინებისთვის ცალკე უნდა იბრძოლო შემდეგ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ყვარელის მუნიციპალიტეტი

გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის კონსულტაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამოწვევის გადაწყვეტა მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას სტიგმის შესამცირებლად, სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, პროვაიდერებს შორის კულტურული კომპეტენციის გაზრდისა და გადარჩენილთა ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების პრიორიტეტიზაციაში. ყოვლისმომცველი მხარდაჭერის სერვისის კომპონენტი. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებს, ადვოკატირების ორგანიზაციებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია ამ სისტემური ბარიერების მოსაგვარებლად და უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა გადარჩენილს ჰქონდეს წვდომა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერაზე, რომელიც მათ სჭირდებათ მათი ტრამვისაგან განკურნებისა და აღდგენისთვის.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, ინტერვენცია და დამხმარე სერვისები აძლევს გადარჩენილ ადამიანებს უფლებას განაცხადონ თავიანთი უფლებები და გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი თავიანთი მომავლის შესახებ. კონსულტაცია, ადვოკატირების სერვისები სთავაზობენ მსხვერპლებს თავიანთი გამოცდილების და უფლებების გადააზრებას. გაძლიერების ინიციატივების მეშვეობით მსხვერპლებს შეუძლიათ დაიბრუნონ უფლებამოსილება და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, გათავისუფლდნენ ძალადობის ციკლიდან და დაიბრუნონ ღირსება და თვითშეფასება. ინდივიდუალური მხარდაჭერის გარდა, ინტერვენციის სერვისები გადამწყვეტ როლს თამაშობენ სისტემური ცვლილებებისა და საზოგადოების

ტრანსფორმაციის ადვოკატირებაში. ცნობიერების ამაღლებით, სტიგმის დამარცხებით და პოლიტიკის რეფორმის ადვოკატირებით, შესაძლებელია უფრო ფართო მოძრაობა ოჯახური და გენდერული ძალადობის დასასრულებლად.

დამხმარე სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამოწვევის გადაჭრა მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას სერვისის მიწოდების გასაფართოებლად, სერვისის პროვაიდერებს შორის კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და რესურსების მობილიზებისთვის. სამთავრობო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია მხარდაჭერის სისტემების გასაძლიერებლად და გადარჩენილების მიღების უზრუნველსაყოფად მათი ცხოვრების აღსადგენად საჭირო დახმარების მისაღებად.

შეჯამება

მსოფლიოში, რომელიც ისწრაფვის თანასწორობისა და სამართლიანობისკენ, გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენცია უმთავრესი იმპერატივია. ყველა ინდივიდს აქვს უფლება იცხოვროს შიშის, იძულებისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლად, თუმცა ეს დარღვევები ჩვენს საზოგადოებებში გრძელდება და უსამართლობის, უთანასწორობის და ქალთა ჩაგვრის გარემოს ქმნის. გენდერული და ოჯახში ძალადობა სერიოზული გამოწვევაა საქართველოსთვისაც, მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა. მსხვერპლები, ძირითადად ქალები და ბავშვები, ხშირად ხვდებიან მრავალმხრივ გამოწვევებს სამართლიანობის და ადექვატური დახმარების ძიებისას. ამ გამოწვევებს შორის, ძალადობის პრევენციის სუსტმა პოლიტიკამ, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ხარვეზებმა, სამართლიანი სასამართლო პროცესების დაგვიანებულმა და ზოგჯერ გაუგებარმა ბუნებამ, მსხვერლპთა დახმარებისა და გაძლიერების სათანადო პროგრაების არარსებობამ შეიძლება გააძლიეროს ტრავმა და გააგრძელოს ძალადობის ციკლები.

სახელმწიფო უწყებების მოვალეობაა არა მხოლოდ ამ საკითხების მოგვარება, არამედ პრიორიტეტული პრევენცია და მსხვერპლთა ყოვლისმომცველი მხარდაჭერა. გენდერული ძალადობა და ოჯახში ძალადობა ღრმად არის გამჯდარი საზოგადოებრივ ნორმებში, რომლებიც განვითარებულია არათანაბარი ძალაუფლების დინამიკით, მავნე სტერეოტიპებით და კულტურული ნორმებით, რომლებიც ამართლებენ და ახალისებენ ასეთ ქცევას. ამ ციკლის დასარღვევად, ჩვენ

უნდა დავუპირისპირდეთ ამ ნორმებს და გავაძლიეროთ გარემო, სადაც პატივისცემა, თანასწორობა და არაძალადობა ნორმაა.

განათლება და ცნობიერების ამაღლება გადამწყვეტ როლს თამაშობს პრევენციაში. ადრეული ასაკიდანვე გენდერული თანასწორობის, თანხმობისა და ჯანსაღი ურთიერთობების შესახებ ინფორმირებულობის ხელშეწყობით, ჩვენ ადამიანებს ვამზადებთ ცოდნითა და უნარებით, რათა ამოიცნონ და უარყონ ძალადობრივი ქცევა. ეს განათლება უნდა იყოს ყოვლისმომცველი, მიაღწიოს საზოგადოების ყველა დონეს, მათ შორის ბაღებს, სკოლებს და ადგილობრივ თემებს.

სახელმწიფო უწყებებმა ძალისხმევამ უნდა მიმართონ სისტემურ უთანასწორობასთან ბრძოლისკენ, რომელიც ხელს უწყობს ძალადობას. ეკონომიკური გაძლიერება, განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სამართლებრივი რეგულაციები გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენციის ჰოლისტიკური მიდგომის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. თუმცა, მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა პრევენციაში, ძალადობის ინციდენტები აუცილებლად მოხდება. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ და სათანადო დახმარება გაეწიოთ დაზარალებულებს. ეს მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს მთელ რიგ სერვისებს, მათ შორის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ თავშესაფარს, უფასო და გეოგრაფიულად განშლილ იურიდიულ დახმარებას, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას მსხვერპლებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს სერვისები კულტურულად მგრძნობიარე და თითოეული ინდივიდის უნიკალურ საჭიროებებზე მორგებული.

თანაბრად მნიშვნელოვანია დამნაშავეთა პასუხისმგებლობის დაკისრება მათი ქმედებებისთვის. სამართალდამცავმა უწყებებმა და სასამართლო სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ გენდერული და ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიებას, განხილვას და დევნას, რათა მოძალადეების ქცევას შედეგები მოჰყვეს. ეს მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივ რეფორმებს მსხვერპლთა დაცვის გასაძლიერებლად, არამედ კულტურულ ცვლილებებსაც, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ დაუსჯელობისა და მსხვერპლის დადანაშაულების დამოკიდებულებას. ამ ბრძოლაში ძალადობრივ ქცევას შედეგად, არა მხოლოდ სათანადო პასუხიმგებლობა, მოძალადისთვის ძალადობრივი ქცევის კორექციაში დახმარებაც უნდა მოჰყვეს. სახელმწიფომ უნდა იფიქროს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის რეციდივის მაქსიმალურ შემცირებაზე, რომელიც მოძალადეთა მხრიდან ძალადობის მანვე შედეგების გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია.

გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა კოლექტიურ ძალისხმევას მოითხოვს. მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, და ინდივიდებს აქვთ თავისი როლი და პასუხისმგებლობა მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნაში. ამ მხარეებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია აუცილებელია იმისთვის, რომ მსხვერპლებმა მიიღონ დახმარება,

რომელიც მათ სჭირდებათ და იმსახურებენ. გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთათვის შესაბამისი დახმარების გაწევა არ არის მხოლოდ მორალური იმპერატივი, არამედ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. ამ პრინციპების დაცვით, ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას თანასწორობის, სამართლიანობისა და თითოეული ინდივიდის თანდაყოლილი ღირსებისადმი. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითა და მოქმედებით შეგვიძლია ავაშენოთ საზოგადოება, ძალადობისა და შიშისგან თავისუფალი, სადაც ყველას შეუძლია უსაფრთხოდ, პატივისცემით და ღირსებით იცხოვროს.

ბიბლიოგრაფია

[1] trauma-informed approach

[1] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, "ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში", 2022, გვ. 2, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[1] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 9, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=24

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[1] დამიანის უფლებათა სამდივნო, "საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 9 ნოემბერს დადგენილებით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი დაამტკიცა", 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://myrights.gov.ge/ka/news/1928-saqartvelos-mtavrobam-2022-tslis-9-noembers

[1] გაეროს ქალთა ორგანიზაცია," კომპენსაცია ძალადობის მსხვერპლებისთვის: როგორ მუშაობს სიახლე პრაქტიკაში", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://georgia.unwomen.org/ka/stories/reportazhi/2023/12/kompensatsia-dzaladobis-mskhverplebistvis-rogor-mushaobs-siakhle-praktikashi

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/6081714?publication=0

[1] იქვე, მუხლი 7

[1] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO), "ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ", 2021, პარაგრაფი 10, გვ 8, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1

[1] იქვე, პარაგრაფი 12, გვ 9

[1] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 9, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=24

[1] ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, "საქართველოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელების შესახებ", 2022, პარაგფარი A, გვ 15, ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://rm.coe.int/ic-cp-inf-2022-14-cop-recommendation-georgia-eng/1680a952e8

[1] რადიო თავისიფლება, "2020 წლიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე შსს დატოვა 7 322-მა თანამშრომელმა", 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32675914.html

[1] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, "Violence against Women", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women

[1] იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი, "Training for Law Enforcement," 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://nij.ojp.gov/topics/articles/training-law-enforcement

[1] ევროპის პარლამენტი, რეზოლუცია P8_TA(2018)0229, "victim-oriented approaches in Europe is the publication "Victims of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11" by the European Union Agency for Fundamental Rights (FRA), released in 2019", 2020, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018IP0229

[1]აშშ-ს ჯანდაცვისა და ადამიანური მომსახურების დეპარტამენტი და სხვები, "SAMHSA's Concept of Trauma and Guidance for a Trauma-Informed Approach,"2014, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://store.samhsa.gov/sites/default/files/sma14-4884.pdf

[1] UNODC , "Data and Research on Gender-Based Violence, 2017, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/statistics/crime/ICCS/Gender_and_the_ICCS.pdf

[1] ადვოკატები ადამიანის უფლებებსთვის, “Role of the Judiciary”, 2019, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.stopvaw.org/role_of_the_judiciary

[1] გამონაკლისია დამცავი ორდერის გამოცემის პროცესები, რომლის შემჭიდროვებული ვადის დარღვევა ფოკუს ჯგუფების ან/და ინტერვიუების დროს არ გამოკვეთილა.

[1] განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მოსამართლეებიც ადგილობრივი თემის წარმომადგენლები არიან.

[1] შინაგან საქმეთა სამინისტრო, “ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) - საანგარიშო პერიოდი: 2020-01-01 - 2020-12-31”, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/60376686996f1.pdf

[1] შინაგან საქმეთა სამინისტრო, “ ძალადობის სახეების სტატისტიკა - საანგარიშო პერიოდი: 2020-01-01 - 2020-12-31”, ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/6037669b135d6.pdf

[1] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, “მამა და დედა ჩხუბობენ ხანჯლებით: პანდემიის გავლენა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე”, 2020, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://socialjustice.org.ge/ka/products/mama-da-deda-chkhuboben-khanjlebit-pandemiis-gavlena-kalta-mimart-da-ojakhshi-dzaladobaze

[1] UNDP, UNFPA, UN Women, “საქართველოში COVID 19 -ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება”, 2021, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/undp_ge_dg_covid_gender_assessment_2021_geo.pdf

[1] შინაგან საქმეთა სამინისტრო, “ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) ახალი - საანგარიშო პერიოდი: 2021-01-01 - 2021-12-31”, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/620a26e57314e.pdf

[1] შინაგან საქმეთა სამინსტრო, “ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) - საანგარიშო პერიოდი: 2022-01-01 - 2022-12-31”, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.police.ge/uploads/63d8e70e9a8b2.pdf

[1] შინაგან საქმეთა სამინისტრო, “ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) საანგარიშო პერიოდი: 2023-01-01 - 2023-12-31”, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://info.police.ge/uploads/65e5cca1768b1.pdf

[1] იქვე

[1] იქვე

[1] გრევიო, “Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) GEORGIA”, პარ. 22, გვ.13, 2022, ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

[1] ეუთო, “პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა” გვ.1, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/4/0/534615.pdf

[1] ევროპის საბჭო, “სექსიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ დონეზე საქართველოში”,გვ.15, 2022, ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/geo2638-guide-on-fighting-sexism-kat/1680a6b91f

[1] რადიო თავისუფლება, “„მოუ***ნელი“, „აწყვეტილი“, „გასუქებული“ - სექსისტური ენა და გამოგონილი ამბები ქალების წინააღმდეგ”, 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/სექსისტური-ენა-და-გამოგონილი-ამბები-ქალების-წინააღმდეგ/32892744.html

პუბლიკა, “„ოცნების" წევრებმა ოპოზიციონერ დეპუტატ ქალებს პარლამენტში შეურაცხყოფა მიაყენეს”, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/ocnebis-wevrebma-opozicioner-deputat-qalebs-parlamentshi-sheurackhyofa/

პუბლიკა, “„არ გავჩუმდებით და არ გავჩერდებით“ - ქალი დეპუტატები”, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://publika.ge/ar-gavchumdebit-da-ar-gavcherdebit-qali-deputatebi/

[1] ტაბულა,”ბესელია: მათიკაშვილ-ოხანაშვილის კომენტარებიდან განცდა რჩება, რომ მონაწილეები თავადაც არიან”, 2019, ხელმისაწდომია ბმულზე: https://tabula.ge/en/news/621938-beselia-matikashvil-okhanashvilis-komentarebidan

[1] ეუთო, “პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა” გვ.10, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/4/0/534615.pdf

[1] იქვე, გვ 14

[1] იქვე

[1] CFGF, “Psychological Impact of Domestic Violence on Women”, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://center4girls.org/psychological-impact-of-domestic-violence-on-women

[1] ჟურნალი ფსიქოლოგი, “The Impact of Domestic Violence on Women’s Mental Health” 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.psychologs.com/the-impact-of-domestic-violence-on-womens-mental-health/

[1] QvemoQartli.ge, “ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები – ამოცნობის და გამკლავების გზები”, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://qvemoqartli.ge/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4/

[1] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, "Violence against Women", 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women

[1] UN WOMEN საქართველო, “ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა: შედეგები და ტენდენციები”, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/ka/stories/reportazhi/2023/12/kalta-mimart-dzaladobis-erovnuli-kvleva-shedegebi-da-tendentsiebi

[1] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, “ქალთა მკვლელობის ბოლო შემთხვევები შემაშფოთებელია და სახელმწიფოსგან პრევენციული მუშაობის რადიკალურ გაძლიერებას საჭიროებს”, 2024, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://socialjustice.org.ge/ka/products/kalta-mkvlelobis-bolo-shemtkhvevebi-shemashfotebelia-da-sakhelmtsifosgan-preventsiuli-mushaobis-radikalur-gadzlierebas-sachiroebs

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ანგარიში, “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”, გვ.15 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ანგარიში, “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”, გვ.14, 2022, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

[1] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 18, პ.5, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=24

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, " ბავშვთა მიმართ ძალადობა-საჭიროებების კვლევა", 2018, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://gyla.ge/files/banners/კვლევა%20ბავშვის%20მიმართ%20ძალადობა.pdf

[1] საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, "დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან"

2015, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://phf.org.ge/wp-content/uploads/2024/06/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90%E1%83%97_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C.pdf

[1]UN WOMEN, "ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში", გვ. 111, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

[1] გრევიო, "Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) GEORGIA", პარ. 87, გვ. 29, 2022, ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

[1] ResaerchGate, " Work with Perpetrators of Domestic Violence in Eastern European and Baltic countries", gv. 35, 2015, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.researchgate.net/publication/280934295_Work_with_Perpetrators_of_Domestic_Violence_in_Eastern_European_and_Baltic_countries

[1] ევროპის საბჭო, "პროგრამები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი", გვ. 5, 2014, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/-16-/16808d24c3, გვ,5

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 16, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[1] UN WOMEN, “ ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა შემუშავდა”, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/04/gbv-perpetrators-rehabilitation-programme-launched-in-georgia

[1] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, “ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში”, 2022, გვ. 145, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 16, გვ. 10, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[1] WWP EN, “European Standards for Perpetrator Programmes Standards for Survivor-Safety-Oriented Intimate Partner Violence Perpetrator Programmes”, გვ. 21, 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/wwp/What_you_can_do/Ensure_the_quality_of_your_perpetrator_programme/European_Standards_for_Perpetrator_Programmes/European_Standards_for_Perpetrator_Programmes_website.pdf

ღია სივრცე კავკასია
2024